ბრძოლის ხმა

1931 წ. აპრილი
პარიზი

№ 14

1931 — AVRIL
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⠿ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის ბრძოლა არსებობისათვის

საბჭოთა სოფელს კვლავ შეესიენ საკოლექტივიზაციო «ბრიგადები», რასაც გლეხობამ კვლავ შეურიგებელი წინააღმდეგობით უპასუხა. ქვევით მოყვანილ საქართველოდან მიღებულ ცნობის მოწმობით გლეხთა მწვავე მოძრაობა, რომელიც ხშირად პარტიზანულ ბრძოლის ფორმას იღებს, მოედო საქართველოს და აზერბეიჯანს.

ოფიციალური სტატისტიკით მიმდინარე წლის დამდეგისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი შეადგენდა 18-20 პროც. სასოფლო მეურნეობათა საერთო რიცხვისას. 1931 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლებას განძრახული ჰქონდა ამიერ-კავკასიისათვის ეს პროცენტი 25 30-დე აეყვანა. ეს ბოლშევიკებისათვის ზომიერი ამოცანა ვითომდა უნდა მოწმობდეს, რომ ეხლა გადაწყვეტილია საქმის უფრო მეთოდიურათ წაყვანა, ძალდატანებაზე ხელის აღება და ე. წ. საშუალო გლეხის პროპაგანდით, კოლმეურნეობის ეკონომიური უპირატესობის გამოჩინების საშუალებით მოქცევა. მაგრამ აბა ვის გაუგონია ბოლშევიკებმა რაიმე სოციალური ღონისძიება მწყობრად და მეთოდიურათ, ძალადობის გარეშე, გეპეუს ჩაურევლათ გაატარონ! უკვე ის გარემოება, რომ კოლექტივიზაციის კამპანიასთან დაკავშირებით «დაკვრითი ამოცანათ» გამოაცხადეს «კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაცია», მოწმობდა, რომ «რეფორმის» მთავარი გამტარებელი დღესაც, როგორც წარსულ წლებში, ჩეკა-გეპეუ იქნებოდა. და აკი ამუშავდა კიდეც ეს ყოვლის შემძლე მარჯვენა ბოლშევიკებისა! როგორც გასულ წელს, ყველა ვინც ნებით კოლხოზში არ მიდის, კულაკათ ცხადდება, და თუ ეს ტერმინი თვით რუსეთის დღევანდელ სინამდვილესათვის ხელოვნურად მოგონილია, ჩვენში ხომ ის არავითარ ეკონომიურ რეალობას არ ფარავს და იხმარება მხოლოდ ან სოფლად პოლიტიკურ მოწინააღმდეგის შესამუსრავათ, ან მარჯვე და თავიან გლეხის გასანადგურებლათ, რომელიც საბჭოთა ათასგვარ შევიწროებათა პირობებშიაც კი ახერხებს თავის გატანას და რომლის ერთად ერთი «დანაშაული» ისაა, რომ თავისი ნაოფლარი საკუთარი ხელით ვერ მიუტანია კოლხოზში საბჭოთა ხელისუფლების სადღეგრძელოთ. წელსაც საკოლექტივიზაციო კამპანია იმით გახსნეს, რომ სოფლიდან თფილისს და თფილისიდან იძულებითი სამუშაოზე გარეკეს ეს «კულაკები» დიდიან-პატარიანა, მთელი მათი ნაოფლარის კოლხოზებში გადაცემით. ეს «საპროპაგანდო» იარაღი, რა თქმა უნდა, საუცხოოთ მოქმედობს დანარჩენ გლეხებზე. მართალია, მოსკოვის გაზეთები უკვე სჩივიან, რომ ამ თესვის თვეებში სოფლად უკვე დიდი ნაკლებობაა სამუშაო საქონლის, რაიცა ნიშნავს, რომ გლეხობა ისევ ანადგურებს თავის ავლადიდებას, რათა დიდი ტვირთით არ შევიდეს სტალინის მიერ გამოგონილ სამოთხეში; სამაგიეროთ დეპეშები გვამცნობენ, რომ უკვე აპრილის დამდეგს კოლხოზების რიცხვი თითქმის 50 პროცენტამდე ავიდა! როგორც ხედავთ, «საპლანო ამოცანა» (25-30 პროც.) დიდათ ჩამორჩა უკან სტალინის მიერ ასე სასტიკათ დაგმობილ «თავბრუდახვევას» და «ადმინისტრატიულ გატაცებას».

რას წარმოადგენს ეს «უმაღლესი ფორმა» სასოფლო მეურნეობისა, რომელსაც ამდენი ხალხი და ამოდენა დოვლათი ეწირება?

«საქართველოს კოლმეურნცენტრის» თავმჯდომარე. მ. ტოროშელიძე, მოგვითხრობს «კომუნისტში» (№ 47), რომ არსებულ კოლმეურნეობათა შემადგენლობაში ნამდვილ გლეხთა რიცხვი მეტად მცირეა; საშვალო გლეხები შეადგენენ მხოლოდ 36,1 პროცენტს კოლმეურნეთა საერთო რიცხვისას. დანარჩენები კი არიან: მოჯამაგირეები—2 პროც., ღარიბები—55,6 პროც., მუშები 1,7 პროც. და მოსამსახურეები 3,7 პროც.. ამგვარათ, კოლხოზის შემადგენლობის დიდი უმეტესობა წარმოადგენს ან ქალაქიდან მორეკილ ელემენტს ანდა სოფლის უმუშევართ, რომელთაგან ერთი ნაწილი კომუნისტების ამქარს შეადგენს და რომელნიც არაფერს «აგებენ თავნიდან» კოლმეურნეობაში შესვლით. ბუნებრივია, რომ ეს სასოფლო მეურნეობასთან ნაკლებათ დაკავშირებული ელემენტები «აძლევენ ტონს მთელ საკოლმეურნეო მუშაობას» (ტოროშელიძე), მათი «ხვედრითი წონა» კიდევ უფრო დიდი ყოფილა კოლხოზის მმართველ ორგანოებში: აქ მოჯამაგირეებს უჭირავთ ადგილების 3,5 პროც., ხოლო ღარიბებს 59.7 პროცენტი. ამგვარად, კოლხოზის გამგე და მმართველი ყოფილა არა გამოცდილი და მშრომელი გლეხი, რომლის ქონება შეადგენს «კოლექტივის» საფუძველს, არამედ სასოფლო მეურნეობას მოწყვეტილი და სავსებით ხელისუფლებაზე და კომპარტიაზე დამოკიდებული ხალხი. კოლხოზის «მმართველი ორგანოები» წარმოადგენენ კომ. პარტიის უბრალო ხელქვეითებს.

კომუნისტური პრესა არ იძლევა საკმარის ცნობებს კოლმეურნეობის შინაგანი წესების და მისი ეკონომიური ორგანიზაციის შესახებ. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ამ მხრით დიდი არევდარევა სუფევს. ფრიად ბუნდოვანია ცნობები კოლმეურნეობაში შემოსავალის განაწილების შესახებ. ლაპარაკია არა შემოსავლიდან დარჩენილ გასანაწილებელ ფონდზე, არამედ ხელფასზე; მიმდინარე წლისათვის განზრახულია შემოიღონ სანარდო მუშაობა და ამ წესის დაგვრათ მიეცეს წევრებს ხელფასი. ეს ბუნდოვანება შემთხვევითი არ არის. წმინდა შემოსავალი კოლმეურნესათვის არ არსებობს, ისე როგორც არ არსებობს ის დაქირავებულ მუშისათვის. წარმოებული ზედმეტი ღირებულება მიდის წარმოების გარეშე მდგომის ჯიბეში—სახელმწიფო კასაში. ამ მიზნის მისაღწევად არსებობს მთელი სისტემა: ერთი მხრით, სახელმწიფოს მიერ კოლხოზებზე გაცემული კრედიტი, მათთვის სამეურნეო მანქანების, იარაღების, სამუშაო საქონლის და. სხვ. მიწოდება და, მეორე მხრით, ე. წ. «კონტრაქტაცია»: მთელი «ზედმეტი ნაწარმოების» ხელშეკრულების ძალით წინასწარ სახელმწიფოზე გადაცემა. კომუნისტური სახელმწიფო ევლინება კოლხოზს როგორც ერთად ერთი კონტრაგენტი, როგორც მონოპოლისტი მიმყიდველი ყველა მისთვის საჭირო ქალაქის ნაწარმოების, საქონლის და სათესის, და როგორც მონოპოლისტი მყიდველი მთელი მისი ნაწარმოებისა. კოლხოზი ვერაფერს ვერ შეიძენს კერძო ბაზარზე, კოლხოზი ვერავის მიყიდის თავის ნაწარმოებს გარდა მთავრობისა და მისი ორგანოებისა. აი აქ არის მთელი არსი კოლექტივიზაციისა. ეს მიმყიდველი და შემსყიდველი მონოპოლისტი, მოსკოვი, თავის თავად ცხადია, მისგან სავსებით დამოკიდებულ კოლხოზებს უკარნახებს როგორც მათთვის მიყიდულ, ისე მისგან შესყიდულ ნაწარმოების ფასებს და ამ სისტემის საშუალებით ითვისებს არამც თუ კოლმეურნის მიერ წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას, არამედ მისი ნორმალური ხელფასის მოზრდილ ნაწილსაც. საბჭოთა ეკონომიური ორგანიზაციის ერთ მთავარ სიძნელეთაგანს შეადგენს სწორედ ის გარემოება, რომ სახელმწიფო ინდუსტრიის ძვირსა და დაბალი ხარისხის ნაწარმოებს გლეხი არ ყიდულობს და, მეორე მხრით, თავისი ნებით არ აძლევს მიწის ნაწარმოებს ხელისუფლებას ამ უკანასკნელის მიერ დაწესებულ ჩალის ფასათ. სტალინის კოლექტივიზაცია ორივე ამ სიძნელეს ერთის დაკვრით სძლევს. სამაგიეროთ ეს ნამდვილი «თათრული სოციალიზმი» სავსებით სპობს გლეხობას, როგორც სოციალ-ეკონომიურ ფაქტორს და გლეხს აყენებს დაქირავებულ მუშის მდგომარეობაში; მაგრამ არა თანამედროვე მუშის, არამედ კაპიტალიზმის პირველდაწყებითი ხანის, როცა სავაჭრო კაპიტალი აწვდიდა ფაქტიურად გაპროლეტარებულ წვრილ მწარმოებელს მთელს მასალას წარმოებისათვის და წინასწარ მის მიერ დაწესებულ ფასებში ართმევდა მთელს «ზედმეტ ნაწარმოებს», ე. ი. ზედმეტ ღირებულებასთან ერთად ნორმალური ხელფასის დიდ ნაწილსაც.

აი ამ კომუნისტურ სახელმწიფოს ყმათ გადაქცევას, მისი «როგორც კლასის ლიკვიდაციას» ვერ ურიგდება და ვერასოდეს შეურიგდება გლეხობა. მისი დღევანდელი ბრძოლა არის ნამდვილი ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, რომელიც ვერ დაცხრება, სანამ არ დაიქცევა ერთი მოწინააღმდეგეთაგანი. ამ ბრძოლაში, თვით კომუნისტების მოწმობით, განსაკუთრებულ შეურიგებლობას და გააფთრებას იჩენს ამიერკავკასიის და საზოგადოთ მთელი არა რუსი გლეხობა. ეს ბუნებრივია. რუს გლეხს კიდევ რამოდენიმეთ შერჩენილი აქვს ტრადიცია სახელმწიფოზე მონურ დამოკიდებულებისა; ველიკორუსი გლეხი ჯერ კიდევ «მირ»-ის სულით გაჟღენთილი, შედარებით ეგუება კოლხოზს, სცდილობს «ობშჩინისებურათ» მოეწყოს შიგ. სულ სხვაა არარუსი და კერძოთ ქართველი გლეხი, რომელშიც გაუტეხელია ეკონომიური დამოუკიდებლობის სული და კერძო საკუთრების ტრადიცია. მას კოლექტივიზაცია ევლინება როგორც სრულიად უცხო, მის ეროვნულ ცხოვრებაში და მამაპაპურ ადათში გარედან შემოჭრილი უბედურება. მისი ბრძოლა ეკონომიური არსებობისათვის ბუნებრივად ებმის საერთო ბრძოლას პოლიტიკურ და ეროვნულ განთავისუფლებისათვის.

ქართველ გლეხს საკმარისი ტრადიცია და დისციპლინა აქვს დესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლის და ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ის დღევანდელ მის წინააღმდეგობაში უდროო და უზომო მსხვერპლს არ გაიღებს იმ გარდაუვალ და გადამჭრელ კრიზისის მოლოდინში, რომელსაც სტალინი და მისი რეჟიმი ასეთი ენერგიით ამზადებს მთელი საბჭოთა მოსახლეობის მის წინააღმდეგ ამხედრებით.

◆

პარტიზანები საქართველოსა და აზერბ--ში

საქართველოდან იტყობინებიან 17 მარტის რიცხვით:

საქართველოში დაიწყო შეიარაღებული პარტიზანული გამოსვლები საოკუპაციო ხელისუფლების წინაამდეგ. ხდება ხშირ-ხშირი შეტაკებები გეპეუს და კომუნისტურ საგანგებო რაზმებთან. გამოსვლები გამოიწვია საკოლექტივიზაციო კამპანიის ხელახლათ დაწყებამ და გაძლიერებულმა რეპრესიებმა.

ასეთივე გამოსვლები დაწყებულია ადერბაიჯანში. პარტიზანთა რიცხვი ორივე მხარეში რამოდენიმე ათასს აღწევს.

მოძრაობის შესახებ მეორე წყაროდან გადმოგვცემენ შემდეგს:

აზერბაიჯანში დაიწყო მასიური გამოსვლები. მოძრაობაში მონაწილეობას იღებს ხუთი ათასი შეიარაღებული პარტიზანი. ორი ჯგუფის ხელმძღვანელია—კასი ახუნდოვი და მეხმეტ კაზიმი. გამოსვლებია, აგრეთვე, საქართველოში—ბორჩალოში, ყარაიაზში და კახეთში. აქ პარტიზანთა რიცხვი აღწევს ორი ათას კაცამდე. საქართველოში ხდება მასიური დატუსაღებანი. დახვრიტეს რამდენიმე ტუსაღი.

(«დამ. საქ.»)

◆

გადასახლებულთა ცხოვრებიდან

(გადასახლებულის ნაამბობი)

1927-28 წლები მასიურ დაპატიმრების და გადასახლების მხრით სარეკორდო წლები იყო. 27 წლის 12 სექტ. დააპატიმრეს 1500-ამდე კაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზდა. იმავე წლის 22 ოქტ. კიდევ ამდენი და, შემდეგ თვეებში, ორს ან ორთვეში, სამ ეტაპს გზავნიდენ ტფილისიდან. გადასასახლებელთა უმრავლესობა არ იყო მოწყობილი რუსეთის ყინვებისათვის. 28 წლის პირველ თებერვალს გავიდა ჩვენი ეტაპიც: 85 ქართ. და 35 სომეხი, დახეულ თეთრ ხალათებში და ქალამნებით გადაგვაგზავნეს მოგვეპეუში (მოსკოვის გეპეუში). ერთი კვირის შემდეგ ბუტირკაში ჩაგვყარეს. სამი დღის შიმშილობა დაგვჭირდა რომ გაზეთების კითხვის, სამკითხველოს წიგნებით სარგებლობის, დღეში 15 წუთით სეირნობის, კოოპერატივში ყიდვის და სარეცხის მიცემის უფლება მოგვეპოებია. გადასახლებისათვის არ გვანაწილებენ, ვსხედვართ ბუტირკაში 3 თვე გვეუბნებიენ «მიშვლები ხართ»-ო. აპრილის ბოლო რიცხვებში გაგვანაწილეს გადასასახლებლათ სხვადასხვა მხარეებში; ჩემი ჯგუფი, 15 კაცი, მაისის შუა რიცხვებში ჩავიდა კრასნო-კოკშაისკში. აქ ჩვენ დაგვხვდა ძველ გადასახლებულთა შორის 22 ქართველი, სამი ღრმა მოხუცებული იყო, იყვნენ აგრეთვე 18-19 წლიანებიც; ზოგიერთი მათგანი ერთი წლის წინათ ყოფილა გადმოსახლებული (ჭეიშვილი) და როგორც 17 წლიანი მოსკოვს გაუნთავისუფლებია ის; საქართველოში დაბრუნებისას გრუზგეპეუმ კი ის ერთი წლით მეტეხში ჩასვა, გახდა სრულწლოვანი—18 წლისა და მაშინ გადაასახლა. ასეთ პირობებში იყო მეორე ჯგუფის მოწაფე—დალაქიშვილი, 16 წლის, რომელსაც მიუსაჯეს 3 წელი მეტეხში ჯდომა, იმ განზრახვით, რომ იქ დავაჟკაცებულიყო და შემდეგ გადაესახლებიათ; დალაქიშვილის ჯდომის დროს მოახლოვდა საბჭოების 10 წლის თავი; ციხეებს მოადგა კომისიები და დელეგაციები, როგორც ეს ჩვეულებრივათ არის ჩვენში; სწორედ ამ დროს დალაქიშვილს კვირაში 2-3 ჯერ ასეირნებდენ მეტეხიდან გეპეუში, გეპეუდან მეტეხში; ამ გარემოებამ გამოიწვია ეჭვები ახალგაზდის შესახებ, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ის ციხიდან მიჰყავდათ იმისათვის, რომ «დელეგაციას» უწლოვანო ტუსაღი არ ენახა...

კრასნოკოკშაისკში მაისის ბოლოს (1928 წ.) ვიყავით 32 ქართველი, ახლების დენა საქართველოდან არ შეწყვეტილა ოქტომბერში უკვე 83 გავხდით.

1928 წ. კიდევ შეიძლებოდა გადასახლებაში ცხოვრება, ცოტას სახლიდან გვიგზავნიდენ, ცოტას ჩვენც ვახერხებდით, ხოლო 29-30 წ.წ. აუტანელი გახდა: სახლიდან დახმარება გაქრა, ადგილობრივი სასოფლო მეურნეობა გაანადგურეს «განკულაკების» საბაბით. სამუშაოს შოვნა გაძნელდა; ადგილობრივათ პროფკავშირის მუშებიც უმუშევრებია და ასეთ პირობებში ჩვენთვის სამუშაოზე მოწყობის ოცნებაც შეუძლებელი გახდა. ჩვენ გვამუშავებდენ ისეთ სამუშაოზე, სადაც ადგილობრივი მუშები ვერ მუშაობენ. მაგ. სახერხ მანქანაზე ადგილობრივი მუშა აკეთებდა 85 კაპ. დღიურათ; აი აქ დაგვრთეს ნება გვემუშავნა ჩვენ; დღიურათ 3 მანეთამდე გავაკეთეთ, ეს საკმარისი იყო, რომ მეოთხე დღეს მოგვეხსნენით მუშაობიდან. ასეთივე ბედი გვეწვია ვაგონების ტვირთვაზე. დაგვრჩა ტელეფონის ბოძების დადგმა, რასაც ადგილობრივები ხელს არ ჰკიდებდენ. როცა ვმუშაობდით, გვაძლევდენ 400 გრ. ჭვავის პურს დღეში, ხოლო თვეში ნახ. ლიტრ სამარხვო ზეთს, 400 გრ. შაქარს. 1 ცალ მახორკას, 1 ნაჭერ საპონს. 1 კილო პშენოს. 1 კილო თევზს; ამ ხანაში ბაზარზე თავისუფლათ ვერაფერს ვშოულობდით. ასე იყო 1930 წლის მაისამდე. შემდეგ პირობები უფრო გაუარესდა და ივნისში—თვეში მივიღეთ 400 გრამი თევზი, მეოთხედი ლიტრი სამარხო ზეთი, 200 გრ. შაქარი, ნახ. კილო პშენო, პურს ისევ 400 გრ. გვაძლევდენ დღიურათ. ამ დროს კერძო ბაზარზე ფასები ასეთი იყო: 1 ფუთი ჭვავის ფქვილი 18 მან. (ყაზანში კი 40 მან. ღირდა), ხორცი 400 გრ. 3 მან. 50 კაპ., ლობიო 5 მან. 50 კაპ. გირვანქა, კვერცხი 10 ც. 4 მან., რძე ჩეთვერი 4 მანეთი (29 წელში კი ჩეთვერი ღირდა 40 კაპ.), კარაქი 15 მან. გირ., შაქარი გირ. 5 მან , თაფლი გირ. 4 მან., ქართოფილი ფუთი 7 მან. (29 წელში კი ღირდა 60 კაპ.), ასევე აიწია ფასები ფეხსაცმელებზე, ტანსაცმელზე და მანუფაქტურაზე. ძველი ნახმარი ტანისამოსი, რომელიც რამოდენიმე თვის წინათ 30 მან. ფასობდა ეხლა გახდა 700 მან, ძველი სალდათის ჩექმა 200 მანეთი გახდა. კოჭა ძაფი 3-4 მან. აძლევდენ მხოლოთ ყაზანში წამსვლელებს, წინდები—4-5 მან., ნავთი სრულიად შეწყდა 30 წ. მაისიდან-ოქტომბრამდე და იმ ხანებში 7 გირ. ნავთის ჩამომტანს ყაზანიდან ვაძლევდით 10 მანეთს. ასეთ პირობებში იყო კერძო ბაზარი ოქტომბრამდე 1930 წ. ე. ი. ჩემს წამოსვლამდე.

ეხლა ვნახოთ თუ რა პირობებში იყვნენ ადგილობრივი მუშები. ისინი 2 კატეგორიათ იყოფებოდენ: თავისი ნებით გამოსულები და იძულებით გამოყვანილები; უკანასკნელ კატეგორიის მუშების პირობები აუტანელი იყო. იძულებით გამოყვანილთა რიცხვი ზღაპრულათ გაიზარდა 30 წლის თებერვლიდან ხე-ტყის დამზადების დარგში. მარიის ოლქი მდიდარია საექსპორტო ტყით, განსაკუთრებით ქაღალდის მასალისათვის, რომელიც, გერმანიაში გასატანათ მზადდება. პირველ ხანებში ხელისუფლება დაქირავებულ მუშებს ამუშავებდა და მუშა დღიურათ 2-2 ნახ. მან. იმუშავებდა; წარმოების შედეგი 95 პროც. ბრაკი გამოდგა; კვლავ გადაამუშავეს ეს ბრაკი. რომელიც ქაღალდის ქარხნის «ბალანსი»-სათვის იყო დანიშნული საექსპორტოთ და კვლავ 50 პროც. ბრაკი მოვიდა, ასეთმა «ნაყოფიერმა» მუშაობამ სახელმწიფოს დოტაცია გამოიწვია და დაქირავებული შრომით ხე-ტყის დამზადება საზარალო გამოდგა. რაიც შესცვალეს იძულებითი სამუშაოთი, რომელსაც 5 წლედის 4 წლედში განხორციელების საჭიროებით ხსნიან. მუშები გამოყავთ შემდეგი წესით: ყოველი ოჯახი, თუ მას ერთ მუშა ხელზე მეტი არ ყავს, ვალდებულია ან თვით გამოვიდეს, ან სხვა დაიქირაოს 3 თვით სახ. სამუშევარზე; და ვინც არ შეასრულებდა ამ მოთხოვნილებას, მის ქონებას კონფისკაციას უქმნიდენ, მილიციისა და ჯარის დახმარებით ხდებოდა მუშების გამოყვანა; ამ წესს მიმართავდენ მომეტებულათ ღარიბების წინააღმდეგ. განკულაკებულები კი შიშით ყველაზე ადრე მიდიოდენ სამუშაოებზე. სამუშაო ადგილებზე მუშები დანაწილებული არიან სოფლებში, ყოველ სახლზე საშუალოთ ხუთ-ხუთი კაცი. ამ წესებმა ჩვენთვის დადებითად იმოქმედა, სოფლელები გვეპატიჟებოდენ: «შემოდით, დაიჭირეთ ოთახები, არაფერს გთხოვთო».

იძულებით გამოყვანილ მუშებს დღეში 1 გირ. პურს, ერთ ცალ მალინის ჩაის, 200 გრ. შაქარს თვეში და ერთ მახორკას (50 კაპეიკიანს) კვირაში აძლევდენ. შეიქმნა წარმოუდგენელი პირობები, ბევრი გაიქცა, გაიპარა, ვინ იცის სად გადაიკარგა. მაგრამ რაც მთავარია დაიწყეს მასალების გაფუჭება და უმნიშვნელო რაოდენობის დამზადება. მთავრობამ საგანგებოთ გამოიწერა «ბრაკიორები» და ესენი დააყენეს ათეულის უფროსებათ, განუსაზღვრეს მუშებს ნორმა—დღეში 125 ცალი «ბალანსის» დამზადება. თუ ამას არ შეასრულებს მუშა, მას იძულებით სამუშაო დღეები ემატება. გაქცეულ და გადაკარგულ მუშების ადგილას აყენებდენ განკულაკებულ გლეხებს. 1930 წლის მარტში ჩამორეკეს 1400 განკულაკებული ოჯახი. ყოველ 5 ოჯახს მისცეს თითო ცხენი, თითო ძროხა და 500 მან. ფულათ და ამ დოვლათით ერეკებოდენ მათ ქ. კრასნოკო-კოკშაისკიდან 35-40 ვერსის მოცილებით—ტყეებში, სადაც იყო გათვალისწინებული კულაკების ჩასახლება. ძუძუმწოვართ ბავში შიმშილით სულს ლაფავს, დედას სამოწყალოს თხოვნა ვერ გადაუწყვეტია, ის ქვითინებს გულსაკლავათ. ქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ სურათს გაუძლოს, მაგრამ რუსეთში ხომ ასეთი რამ გასაკვირი არ არის.

ეხლა დაუბრუნდეთ ისევ ჩვენებს, რომლებიც გადასახლებაში და პატიმრობაში გვეგულება.

1. ჯანითა და ბრძოლის ენერგიით ალსავსე—ვარლამ ლომთათიძე 1928 წ. სექტემბერში წუთისოფელს გამოესალმა კანტონ სერნუბში; მის დასაფლავებას დაესწრო ამ კანტონში მცხოვრები გადასახლებული რუსები, სომხები და ებრაელები.

2. ჭლექით დაავადებული დათიკო კალანდაძე, ადგილობრივ ექიმთა კომისიის დასკვნის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა, გეპეუმ იცოდა რომ მისი დღეები დათვლილი იყო; ჩავიდა გურიაში და 15 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

3. 1930 წ. აგვისტოში, ვადაზე 2 თვით ადრე გაანთავისუფლეს კოლია სოხანეიშვილი, ექიმთა კომისიის მოწმობით. სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ამხ. სოხანეიშვილმა მხოლოდ ერთი თვე იცოცხლა—გარდაიცვალა ვანის თემში (გურია).

4. 63 წლის მოხუცი—იოსებ კალანდაძე 95 დღე ჰყავდათ 23 ნომერ პადვალში (ტფილისში) (იქ სადაც ვანო ქარცივაძე ორი თვე იჯდა და ადმინისტრაცია იძულებული იყო ამოეყვანა). კალანდაძე ტფილისში გარდაიცვალა.

5. ვერხნე-ნოვგოროდში ჭკუაზე შეირყა კოტე ურუშაძე, და დღესაც იქ ზის უყურადღებოთ.

6. ბათუმის გეპეუში, მხეცური წამებით ჭკუაზე შეირყა ილია (ილიკო) სასანია და შეშლილი გადაასახლეს; მახსოვს ერთად ვიჯექით «პოლიცეისკია ბაშნიას» ერთეულში, ილიკო მეტად მღელვარებდა, ვთხოვე გეპეუს კომენდანტს, რომ სასანია საავადმყოფოში გადაეყვანა, «სიმულიანტებისთვის» არ გვცალიაო, მიპასუხა. მისი მშობლების განუწყვეტელი სირბილით მოსკოვში, გადასახლებაში და ტფილისში, როგორც იქნა, ორი წლის შემდეგ ნება დართეს ილიკოს დას ჭკუაზე შეშლილი ძმა სახლში წაეყვანა.

სიკვდილის პირზე მდგარ გადასახლებულთა გან-

თავისუფლება ხდება გადასახლებულთა შორის სიკვდილიანობის პროცენტის «დასაწევათ»; ამით ორ «დიდ საქმეს» აკეთებენ: 1) უნდათ მოაჩვენონ, რომ ბოლშევიკები დიდ ანგარიშს უწევენ დაავადებულთ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მათი მტრები არიან (საპროპაგანდო მასალა შიგნით) და 2) გადასახლებაში არ არის სიკვდილიანობის შემთხვევებიო (საპროპაგანდო მასალა გარეთ).

ვადის გათავება და განთავისუფლების საკითხი.

ზაფხულში 1930 წელს მოვიდა ჩვენი განთავისუფლების ვადა, რადგან გადასახლებული ვიყავით 3 წლით; სამშობლოში დაბრუნების იმედი არ გვაქვს; 61 წლის მოხუცი—კვარაცხელია ავადმყოფობით და ვადის გათავებით მოსკოვმა გაანთავისუფლა, ჩვენმა გეპეუმ მას აგენტობა მოსთხოვა, კვარაცხელიამ ამაზე უარი განაცხადა, განთავისუფლების დადგენილება გეპეუმ გააუქმა და კვარაცხელია ისევ სამი წლით გადაასახლეს. კვარაცხელია მინუსიდან *) გაიქცა და შემდეგ რა მოუვიდა არ ვიცი. მინუსიდან გაქცევა ხშირი მოვლენაა. ტარასი ტონია—სამტრედიის რკ. გზის მუშა, ოგეპეუმ (ოლქის გეპეუმ) გაანთავისუფლა 1929 წლის სექტემბერში; მაგრამ ადგილობრივათ აგენტობა მოსთხოვეს და რადგან არ შეასრულა, ვადის გათავებისას 1930 წლის 9 სექტემ. ცხრის გამოკლებით მისცეს (ე. ი. ცხრა დიდ მხარეში აუკრძალეს ცხოვრება). ასევე მოუვიდა პეტრე კოლუაშვილს, და მინუსის მაგიერ ქუთაისში გაიქცა ჯ. გოგოლიშვილთან ერთად, დღეს ისინი ქუთაისის ციხეში არიან.

ჩვენი განთავისუფლების დროც დადგა, ყველა ჩვენგანი ყირიმზე ოცნებობდა, ჰავის სიკარგის გამო, თუმცა ცხოვრების პირობები ყველგან ერთი და იგივეა. თურმე ივნისიდან ყირიმი გამოკლებაში შესულა და იქ წასვლის საშუალებაც მოგვესპო.

რაც უმთავრესია—სამგზავრო «ლიტერები» მოგვისპეს—«წადით თქვენივე ხარჯით ანდა დარჩით აქვე»ო. ჩვენ შეურიგებელი წინააღმდეგობა გაუწიეთ ადმინისტრაციას; ამაში რუსებმა, სომხებმა და ებრაელებმა (გადმოსახლებულებმა) მხარი არ დაგვიჭირეს—არაფერი გამოვაო. თვენახევრის განმავლობაში გეპეუს არ ვეცხადებოდით და ხელს არ ვაწერდით ფურცლებს. იყო დაბარებები, დაკითხვები, დამუქრებები, ჩვენ მაინც ჩვენსას ვადექით. ბოლოს ყველამ (ქართველებმა) მივიღეთ ლიტერები და ათის გამოკლებით (მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ადესის ოლქების, ამიერკავკასიის, ჩრ. კავკასიის, დაღესტანის რესპუბ., ყირიმის რესპ. და ქვემო ოლქის მხარე—ასტრახანის, სარატოვის გამოკლებით), დაგვრჩა საცხოვრებელი ადგილი ჩრდილ. ურალი და შუა აზია. ნაწილი ამხანაგებისა კურსკში და ვორონეჟში წავიდენ, ნაწილს კი ტაშკენტში, ფრუნზეში, სამარკანდში და ასხაბადში (ტაშკენტში 5 ნოემბერს 120 ქართველი გადმოასახლეს, ელოდენ აგრეთვე აფ. წულაძეს), მე და ამხ. ტონია წავედით ქ. ასხაბადში.

რუზაევკაში უნდა გადმოვმჯდარიყავით მოსკოვ-კრასნოვოდსკის მატარებელში. სადგურებზე სად იწყება და სად თავდება რიგი ვერ გაიგებ. ნასილშჩიკს ვსთხოვე პლაცკარტის აღება ტაშკენტზე; ის 25 მან. მთხოვს ორ პლაცკარტზე. ასეთი წარმოუდგენელი სპეკულაცია პლაცკარტზე მე ვერ შევიგენი. ნასილშჩიკი უცებ მიბრუნდა: «გეტყობა არ გინდა, ტყუილათ მევაჭრები და სხვასაც დამაკარგვინებო». ვეძებე სხვები და როგორც იქნა 15 მან. ავიღეთ პლაცკარტი (ნეტავ სად იყო ამ დროს ამხ. ვანდერველდე, მისი ინტერვიუ (ოქტ. 1930) ასე გადმოგვცემს მის რუსეთ-ჩინეთში მგზავრობას: «ეტყობა კარგათ მუშაობს პროფკავშირი—ნასილშჩიკმა ერთ მანეთზე მეტი არ აიღოო»). ჩვენი პლაცკარტი სადგურ არისამდია, არისში კვლავ წვალება—აქ დავრჩით 5 ნოემბრამდე და აქედან ტაშკენტის ლიტერში გადავიხადეთ 5 მანეთი: ტაშკენტში გვინდოდა ერთი ან ორი დღით დარჩენა—ამხანაგების ნახვა, მაგრამ ეს დრო ბილეთის რიგში დაგვჭირდა, ბილეთის აღება მაინც ვერ მოხერხდა. ბოლოს რის ვაი ვაგლახით ვიშოვეთ ბილეთები. 12 ნოემბერს ჩავაღწიეთ ქ. ასხაბადში. ადრე გადმოსახლებულ ქართველებმა ბინაზე მოგვაწყვეს.

შავ სამუშაოზე გავედი, დავიწყე მიწის თხრა, ეს ყურში ჩაწვდა გეპეუს და მეორე დღესვე მომხსნეს სამუშაოდან.

ასეთმა პირობებმა მაიძულა მიმემართა სხვა საშუალებისათვის და 40 დღის ხეტიალის შემდეგ გამოვედი სამშვიდობოს.

მერდუსი.

15 თებერვ. 1931 წ.

---

*) «მინუსი», ე. ი. გამოკლება უნდა აღნიშნავდეს იმ მხარეს საბჭოთა რუსეთისას, საცა გადასახლებულებს აკრძალული აქვთ ცხოვრება. ვადის გათავების შემდეგ მათ ჩვეულებრივ აძლევენ «მინუსს», ე. ი. იმავე გადასახლებას, მხოლოდ წინანდელთან შედარებით უკეთეს ადგილზე...

რედაქცია.

ქართველ გადასახლებულების დატუსაღება

გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, ქ. ასტრახანში დაუპატიმრებიათ იქ გადასახლებაში მყოფი ჩვენი მხცოვანი ამხ. ისიდორე რამიშვილი, და მასთან ერთად კიდევ სხვა გადასახლებული ქართველები. ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ დაპატიმრებულებზე მზრუნველი გარეთ აღარ დარჩა, რის გამო ისინი იძულებული არიან დაკმაყოფილდენ ციხის ულუფით.

ამავე ხანებში ქართველი გადასახლებულები დაუპატიმრებიათ ბევრს სხვა ადგილებზე; მაგ. სარატოვში 8 დეკემბერს გეპეუში ჩასვეს და იქიდან ციხეში გადაიყვანეს 12 ქართველი სოციალდემოკრატი.

საქართველოს სოფ. მეურნეობის „კოლექტივიზაცია“

«ჩვენ ჩვენი გლეხი სოციალიზმისაკენ მივაბრუნეთ», დამარწმუნებელი კილოთი აცხადებს სტალინი სამრეწ. მუშაკთა კონფერენციაზე. ამ სიტყვების შესაფასებლად გადავხედოთ «კოლმეურნეობის მშენებლობის ფრონტს», მისი განვითარების მოკლე ისტორიას და ბოლშევიკების უდიდეს მიღწევებს ამ «ფრონტზე».

საბედისწერო «ხუთი-ოთხში და ზოგ დარგში სამ წელში გეგმის» შესრულება მოითხოვს სოფლის მეურნეობის დამსხვილებას, რის გარეშეც გეგმის შესრულების შეუძლებლობა ბოლშევიკებისათვის ცხადი გახდა. თუ «ნეპი»-ს წლეებში კოლმეურნეობათა «მშენებლობა» სასურველ რამეს წარმოადგენდა, მისი ლიკვიდაციის შემდეგ აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით კოლექტივიზაცია აუცილებელი შეიქნა. «არ არის ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ» (სტალინი). და გლეხობის კოლექტივში შეყრა, მით უმეტეს გლეხობის «სრული ნებაყოფლობით», არც ისეთ დიდ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. სათანადო ბრძანება და დირექტივები მოსკოვის მიერ დაეგზავნა მსხვილ ადმინისტრატიულ ერთეულებს ე. ი. «რესპუბლიკათა» ც. კომიტეტებს, რომლებიც თავის მხრივ დაფაცურდენ მოსკოვის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად. სასწრაფოდ დაირაზმა «პარტ-აქტივი» «პროფაქტივი, გაიხსნა სამდღიანი კურსები, «დირექტივების» შესასწავლად—თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო მთლიანი კოლექტივიზაცია და «კულაკის» «განკულაკება». პირველ ორ დღეს მაცადინეობა სწარმოებდა კოლექტივის მარტივი სახის გასაცნობათ ე. წ. «საზოგადო შრომით დამუშავებული ამხანაგობის». ორი დღის შემდეგ კი ბოლშევიკებს მადა გაეხსნათ და «გიგანტიურ ნაბიჯებს» ჩვეულებმა ნელა ჩანჩალს დიდი ნახტომი ამჯობინეს: გადაწყდა მეორე საფეხურის კოლექტივიზაციის, «სასოფლო-სამეურნეო ერთეულების» ჩამოყალიბება. სამი დღის განმავლობაში ცოდნით აღჭურვილი მსმენელები «დანაწილდენ დამკვრელ ბრიგადებათ», დაარსდა სამხედრო შტაბი და სამხედრო წესით ქალაქმა «პირი ქნა სოფლისაკენ». ადგილებზე ეწყობოდა «მოჯამაგირეთა», უღარიბეს გლეხთა კომუჯრედთან გაერთიანებული დახურული კრებები. «დამკვრელები» უხსნიდენ რა კრებას მოსკოვის გადაწყვეტილებას, მოითხოვდენ «კულაკის» «გამომჟღავნებას», ანუ უკეთ რომ გამოვთქვათ, პოვნას ან შობას. რადგან თვით კომუნისტური განსაზღვრით, კულაკი ეწოდება იმ მდიდარ გლეხს, რომელიც სარგებლობს დაქირავებული მუშათა ხელით, აქვს წისქვილი (იგულისხმება რუსული დიდი წისქვილები) და სხვა არა შრომითი შემოსავალი. მაგრამ თუ ასეთი გლეხი არ მოიძებნებოდა სოფელში, საჭირო იყო მისი ხელოვნურად შექნა, «კლასთა ბრძოლის» გაღრმავების და დანარჩენ გლეხობაზე მორალური ზეგავლენის მიზნით. აღმოჩენილი კულაკი მთელი თავისი ჯალაბობით იდევნებოდა სოფლიდან წინადადებით—24 საათის განმავლობაში დაეტოვებია ოლქის საზღვრები. ძნელი წარმოსადგენია ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა აღნიშნულ «კულაკებს». სოფლათ გაისმა გულშემზარავი ხმა ქალების და ბავშვების ტირილის, რომლებსაც (ცივ ზამთარში, ერთი ხელი ტანისამოსით და რამდენიმე დღის საკვებით ერეკებოდენ გარეთ საყვარელ კერადან, ასეთი საშინელება ჩვენს გლეხობას არ განუცდია 1905 წ. რეაქციის დროსაც.

ამ სასახელო საქმის შემდეგ «კლასობრივ» მტერზე გამარჯვებული «დამკვრელები» იწვევდენ გლეხობის საერთო კრებას, უხსნიდენ მათ კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე და ძალზე დაჯერებული გლეხობა «ერთხმად მოითხოვდა მთლიან კოლექტივის ჩამოყალიბებას». პარალელურათ ხთებოდა ობლიგაციების «გავრცელება», დარჩენილ სასოფ. სამეურ. გადასახადის აკრეფა, შემნახველ სალაროებში ჩაწერა წევრების და სხვა. მოკლედ, ბრძოლა დარჩენილ ნამცეცების გამოსაქაჩავად, გლეხობა სდუმდა, პარტიულები ტაშს უკრავდენ, იწერებოდა «მსურველთა» სიები და კოლექტივიზაციაც მზათ იყო. მაგრამ დუმილი თურმე ყოველთვის თანხმობის ნიშანი არ ყოფილა.

ვერ მოასწრეს გამარჯვებულებმა მიელოცათ ბრწყინვალე გამარჯვება სტალინისათვის, რომ სოფელში აზვირთდა უკმაყოფილების ტალღა, რომელიც თანდათან იზრდებოდა და წალეკით ემუქრებოდა ავანტიურისტულ ხელისუფლებას. უკმაყოფილებამ ბუნებრივად ჯარის რიგებამდეც მიაღწია. შეშინებულმა დიქტატორმა იკადრა უკან დახევა და მთელი თავისი სამარცხვინო უტიფრობით შეცდომა ადგილზე მომუშავებს გადააბრალა. ალაჰმა უწყის რამდენად დაამახინჯეს თუ გააბრუნდეს მოსკოვის გენერლების ხაზი ადგილობრივმა მუშაკებმა. ფაქტი ერთია: მთელი რუსეთის სივრცეში ყველგან ერთსა და იგივე «შეცდომებს» და «თავბრუხვევას» ჰქონდა ადგილი.

დახევა მეტად ძვირად დაუჯდა ქვეყნის ეკონომიკას. «კოლექტივიზაცია ქმნილი გლეხობა» ცდილობდა კოლექტივში მსუბუქათ შესვლას, ანადგურებდა მუშა საქონელს და სხვ. შედეგათ კი ბოლშევიკებს ახალი «ფრონტი» მოემატათ—საქონლის დამზადების «კამპანია». მგონი რომ ამ მწარე გაკვეთილს ჭკუა უნდა ესწავლებია ბოლშევიკებისათვის და ხელი უნდა აეღებინებია კოლქტივიზაციის ადმინისტრატიულ წესით ჩატარებაზე.

სინამდვილეში კი ვხედავთ სულ სხვას. პარტიის დადგენილებით 1931 წელს კოლე[illegible]ქმნილი უნდა იქნეს გლეხთა მეურნეობის 30 პროც. ხოლო ამ მიზნის მისაღწევ საშვალებათ აღიარებულია გლეხის შეზღუდვა-შევიწროება. ინდივიდუალური მეურნეობანი უკიდურესად იბეგრებიან: სასოფლო სამეურნეო გადასახადით, აგრეთვე სხვადასხვა გამოულეველი «დამზადების კამპანიის» სახით, ობლიგაციებით და სხვა. ამავე დროს, როგორც აცხადებს უკანასკნელ ყრილობაზე საქართველოს ერთი სატრაპთაგანი: «ჩვენ ვატარებთ საქონლის დამზადების კამპანიას არა იმიტომ რომ გამოვკვებოთ მარტო ქალაქის მუშა. არამედ იმიტომაც რომ უზრუნველვყოთ კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობანი საჭირო საქონლით», ე. ი. ინდივიდუალური მეურნეობის ხარჯზე კოლექტივების კომპენსაცია. დღესაც «კოლექტივიზაციის ჩატარება» ხდება «კლასთა ბრძოლის» გაღრმავების ლოზუნგის ქვეშ, «კულაკის განკულაკება» უარყოფილი არ არის, შეცვლილია მხოლოდ ტემპი; ერთი დაკვრით ვერ მოხერხდა მისი მოსპობა, საჭირო შეიქნა «შეზღუდვა-შევიწროება რამც უნდა მოამზადოს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე» (საქ. კ.-ის მიმართვა ამ. კავ. საოლქო კომიტეტს, 1931 წ. 9-2).

მთელი უბედურება იმაშია, როგორც ზევით ავღნიშნეთ, რომ ეს შეზღუდვა და «კლასთა ბრძოლის» მახვილი მარტო «კულაკების» წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ ჩვეულებრივ მარჯვე და მომჭირნე გლეხის, რომელსაც თავისი პირადი შრომით შედარებით ერთგვარი მიღწევები აქვს თავის მეურნეობაში და რომელიც წინააღმდეგია კოლექტივის. ასეთი გლეხები მიჩნეულია კლასიურ მტრებათ და «პოდკულაჩნიკად» ინათლება. კლასთა ბრძოლის ასეთ დაწვრილმანებამდე დაყვანა მისი გაუგონარი დამახინჯებაა. მშრომელთა ხალხის ჯალათები ივიწყებენ იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ქალაქის საზომით სოფელი არ განიზომება, რომ აქ მშრომელი კერძო მესაკუთრეთ გვევლინება, რომ მის ძვალრბილში გამჯდარი საკუთრების სიყვარული და რომ ადმინისტრატიული წესით მასთან ბრძოლა არის მოსახლეობის 90 პროც. წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ადრე თუ გვიან უეჭველად კრიზისს გამოიწვევს.

თვით არსებულ კოლექტივებში თავმოყრილია მომეტებულათ ხალხი, რომელებიც თავის ყოფნას კოლექტივებში დღეობით ითვლიან, რის გამოც შრომის ნაყოფიერება მეტად დაბალია, წევრების უდიდეს ნაწილს არაფერი საერთო არ აქვთ გლეხობის ძირითად მასასთან. ასეთებია: მუშა მოსამსახურეები, მოჯამაგირეები, «პარტაქტივი» და სხვა. დღეგრძელობა კოლექტივების დამოკიდებულია იმ უპირატესობაზე და სარგებლობაზე, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ ხელისუფლებისაგან. ნათქვამის ნათელ საყოფად საკმარისაა ის მაგალითი, რომ 1930 წელის მთლიანი კოლეკტივიზაციის უდიდესი მოწინააღმდეგენი იყვნენ თვით არსებული კოლექტივები, რადგან ამით მათ ესპობოდათ მრავალი პრივილეგია, ესაა: ფულით დახმარება, სესხი, ნაკლებათ დაბეგვრა; უცმირდებოდათ საუკეთესო მიწის რაოდენობა და ეკარგებოდათ ის ზედმეტი შემოსავალი, რომელსაც ღებულობდენ მანქანა (სალეწი, ტრაქტორი) იარაღების გაქირავებით ინდივიდუალურ მეურნეობაზე.

მიმდინარე წელს ჩვენი სოფელი სდგას ორი გასაჭირის წინაშე, რასაც ბოლშევიკები «რეკონსტრუქციას» უწოდებენ: ერთი, როგორც ზემოთ ავღნიშნე, გლეხობის 30 პროცენტის შერეკა კოლექტივებში და მეორე კი არსებულ კულტურების შეცვლა ტეხნიკური კულტურებით. თუ პირველ «რეკონსტრუქციაზე» ბოლშევიკები კიდევ ახერხებენ სიცრუეს და იძულებითი ზომებს ნებაყოფლობითს უწოდებენ, მეორე რეკონსტრუქციის ჩატარებაში ნებაყოფლობაზე ლაპარაკი იმდენად აშკარა სიცრუე იქნებოდა, რომ ამის თქმას ბოლშევიკებიცკი ვერ ახე-

---

სოციალისტური ინტერნაციონალი და საბჭოები *)

ათ წელზე მეტია რაც დასავლეთის საზოგადო აზრი მიპყრობილია საბჭოთა სამეფოსაკენ და მასზე განუწყვეტლივ ბჭობს. განსაკუთრებით ამ საკითხით თავიდანვე დაინტერესდა სოციალისტური ინტერნაციონალი და შეეცადა გამოენახა საბჭოთა მიმართ სწორი პოზიცია. არ ყოფილა მისი არც ერთი საერთაშორისო კონგრესი, რომ რაიმე რეზოლიუცია ამ საგანზე არ გამოეტანოს და თავისი სიტყვა კიდევ ერთხელ არ ეთქვას. ეს ერთი და იმავე საკითხისადმი ხშირი მიბრუნება მოწმობს იმას, რომ სოციალისტური აზროვნება ამ სფეროში არ არის ერთსულოვანი. საბოლაო აზრი მან ვერ შეადგინა და ამიტომ იძულებულია ბორძიკ-ბორძიკ, თანდათანობით და ემპირიზმით ეძიოს ბურუსით მოცული სინათლე.

მიუხედავათ ამ ხანგრძლივი ძიებისა, დღემდე ის მაინც ვერ შეჩერდა ერთ დასკვნაზე, ვერ გამოარკვია საბჭოთა სინამდვილე და ვერ მიუდგა თავისი იდეოლოგიით საბჭოთა პროლეტარიატს. მართალია, სოციალისტურ ინტერნაციონალს არ გაუგზავნია რუსეთში საანკეტო კომისია, ასეთს არც ჩაუშობდენ იქ, მაგრამ სამაგიეროთ კოოპერატორთა ინტერნაციონალმა კიდევაც გაგზავნა ცნობილი სოციალისტი—კოოპერატორები თავისი დარგის შესასწავლათ და ევროპისათვის გასაცნობათ. ისინი დაბრუნდენ და მოიტანეს გასაოცარი ამბავი, თურმე საბჭოთა კოოპერატივები «სრულიად დამოუკიდებელი არიან ხელისუფლებაზე, დგებიან, როგორც ყოველგან, მომხმარებელთა თავისუფალი ჩაწერით» და სხ. დასხ. **). ერთი სიტყვით, ისინი ევროპის კოოპერატივებისაგან განირჩევიან მხოლოდ დიდი თანხების ტრიალით. ეს ეპიზოდი მოგვაგონებს გასული საუკუნის მეორმოცე წლების ცნობილი ფრანგი მწერლის მიერ რუსეთიდან მოტანილ ამბავს—მოსკოვის ქუჩაზე თეთრი დათვები თავისუფლათ დასეირნობენო! ქვეყანამ იცის რომ საბჭოთა ტერიტორიაზე კერძო ვაჭრობა და მრეწველობა აკრძალულია, თვითეული მოსახლე იძულებულია კოოპერატივში ჩაეწეროს, რომ რაიმე საქონელი იყიდოს, ყველა დაწესებულება, ყველა ადამიანიც კი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული მთელ თავის საქმიანობაში. ხოლო ევროპის კოოპერატორთ ვერც ერთი ეს სინამდვილე ვერ დაუნახავთ და რუსეთი ევროპათ მოსჩვენებიათ!

სოციალისტურ ინტერნაციონალს ასეთი მარცხი არ მოსვლია, მაგრამ მისი ათი წლის ყოყმანი საბჭოების შესახებ, მისი აზროვნობის მუდმივი ბორძიკი, მისი ეჭვები ისეთ წყობილებაზე, რომლის შესახებ ორი აზრი რუსეთის ხალხში არ არსებობს, ნათლათ მოწმობს, რომ მასაც უჭირს გაგება რუსეთის სინამდვილის, სულიერათ დაკავშირება რუსეთის მუშათა კლასთან, ხიდის გადება ორ ევროპას შორის. ამის უტყუარი მაჩვენებელია ეგზეკუტივის მაისის სხდომის მიმართვა «საბჭოთა კავშირის მუშებს», სადაც ის ითხოვს საბჭოთა მოქალაქეთათვის თავისუფლებას სიტყვის, წერის, ორგანიზაციის, არჩევნების და სხ. ეს მეტათ ჩინებული ჩარევა «საბჭოთა შინაურ საქმეში» მოახდენს ადრესატზე სასურველ შთაბეჭდილებას? ვერა, ვერ მოახდენს.

ყველამ იცის, რომ მთელი დავა ჩვენს და ბოლშევიკებს შორის წარმოებს არა თავისუფლების ირგვლივ, არამედ მის შედეგებზე, რა წყობილება მოყვება თავისუფლებას, ის მოგვცემს ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას, როგორც ამას ისინი ამტკიცებენ, თუ ძალა-უფლება მართლა დარჩება ხალხს, მუშას და გლეხს. რაკი ეს ძირითადი საკითხი არ არის მანიფესტში წამოყენებული, რაკი თავისუფლებისათვის არ არის მიცემული სოციალური შინაარსი, სადაო საკითხი რჩება აუხსნელი და მით თვით მიმართვა რჩება «ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა». ასეთი «მანიფესტის» გამოცემა არ მიეწერება მარტო გარეგან მიზეზებს—აჩქარებას, საკითხის წინდაწინ დაუმუშავებლობას, აშკარა იმპროვიზაციას. ეს სენი დიდი ხანია ჩვენს ინტერნაციონალს სჭირს სხვა საკითხებშიაც. ნამდვილი, ძირითადი მიზეზია ის გარემოება, რომ ევროპიელი ამხანაგები რუსეთის პოლიტიკურ პრობლემას უდგებიან მეტისმეტათ დასავლეთური მეთოდით, აქაური დღეს უდაოთ მიჩნეული შაბლონით, იქაურ პირობებთან შეუთანხმებლათ და შეუფარდებლათ. თავისუფლების საჭიროება ახლა ევროპაშიაც სადაოთ ხდება, ათმა მილიონმა გერმანელმა 14 სექტემბერს ხმა მისცა თავისუფლების წინააღმდეგ. მართალია სოციალისტებისათვის ეს სადაო არ არის, მაგრამ მუდამ ასე ხომ არ ყოფილა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში მუშათა ინტერესების დამცველნი სწორეთ ბოლშევიკურათ ფიქრობდენ—პოლიტიკურ განთავისუფლებას სოციალური განთავისუფლება უნდა წინ უსწრებდესო. ამ უტოპიას შეებრძოლენ მარქსი და ენგელსი აგრეთვე მანიფესტით, მაგრამ არა ცალმხრივი შინაარსით, თავის და ბოლოს განურჩევლათ, არამედ სოციალური პრობლემის სავსებით გაშლით, მიზანის და საშუალების ნათლათ დასახვით.

საბჭოთა სინამდვილეში მუშათა საკითხი კიდევ უფრო რთულია, ვინემ ეს იყო დასავლეთში ამ ოთხმოცი წლის წინეთ. უტოპიურ იდეოლოგიას აქ ზედ ერთვის ხელისუფლება, რომელიც მთელი თავისი სახელმწიფო აპარატით უტოპიას ემსახურება. ხდება სოციალურ ძალთა ახალი გადაჯგუფება, დიდათ განსხვავებული ევროპისაგან. საერთო სიღატაკეში მუშათა კლასი სხვა კლასზე მაღლა დგას ეკონომიურათ და იურიდიულათ. საერთო უუფლებობაში მუშის ერთი ხმა უდრის მრავალ ხმას არამუშისას. აქედან იბადება ძნელი პრობლემა: ამ პრივილეგიებს მიჩვეულ მუშას ისე მიუდგე, ისეთი პერსპექტივა მისცე, რომ მის განსახორციელებლათ ამოძრავდეს. დასავლეთის სოციალისტები ვერ ხედვენ ვერც ამ სირთულეს, ვერც ამ კლასების ურთიერთობას. წინეთ, ძველ რეჟიმში დასავლეთს უფრო ესმოდა რუსეთის ვითარება, ვინაიდან იქ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულიყო მისი მონათესავე, მის ემბაზში ამოვლებული საზოგადოება: თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია, ინტელიგენცია, ეს ევროპის კულტურის მატარებელი და ღვიძლი შვილი. მათ შორის სულიერი ნათესაობა სუფევდა. მაგრამ როცა ეს რუსეთი დაინგრა, ეს ევროპიული საზოგადოება დაიღუპა და მისი ალაგი დაიჭირა არა-ევროპიულმა. თავისებურმა რუსეთმა, ამით გაწყდა საერთო ევროპიული ენა. ვინაიდან ერთი მხარე ამ ენის უცოდინარი აღმოჩნდა. აი ეს დიდი ამბავი დასავლეთმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო და ის განაგრძობს ამ ახალ რუსეთთან ძველი ენით ლაპარაკს! ვანდერველდემ სრულიად გულწრფელათ აღიარა, რომ რაც მეტს კითხულობ საბჭოთა რუსეთზე, მით უფრო ძნელდება მისი გაგება *).

ეს შეიძლება ითქვას არა მარტო რუსეთზე, არამედ მთელ აღმოსავლეთზე; ინდოეთის უკანასკნელი ამბები ამის მაგალითია. ლონდონის რგვალი სტოლის კონფერენციაზე ინდოეთის სინდიკატების წარმომადგენელმა იოხიმ პირდაპირ განაცხადა, რომ ინგლისის მუშათა მთავრობამ და მისმა პარლამენტმა ყოველივე გავლენა დაკარგა ინდოეთში, ინდოეთის თავისუფლება სრულიად უდაოა, საჭიროა მხოლოდ ამ თავისუფალ ინდოეთში სოციალური საკითხი მოწესრიგდესო და სხ., ე. ი. თავისუფლებას სოციალური შინაარსი უნდა მიეცესო.

რატომ ასე უჭირს დასავლეთს აღმოსავლეთის გაგება?

ძირითადი განსხვავება დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის მდგომარეობს მის ეკონომიურ სტრუქტურაში. პირველია ინდუსტრიალური ქვეყანა, მეორეა აგრარიული, ხოლო აგრარიული ქვეყანა არ არის კაპიტალისტური, იქ არ მოიპოვება ყოველივე საკუთრებას მოკლებული მრავალრიცხოვანი კლასი პროლეტარიატისა, კაპიტალის ბატონობა შრომაზე საზღვარდადებულია, ბურჟუაზიის შემძლებლობა მინიმალურია. აქ ხალხი ცხოვრობს არა სამრეწველო სოციალურ ურთიერთობაში, არა კაპიტალისტურ ატმოსფერაში, არამედ სამიწათმოქმედო, წვრილ საწარმოვო და საალებ-მიცემო ვითარებაში. სოციალური საკითხი დასავლეთში არის უმთავრესათ შრომის საკითხი, აღმოსავლეთში კი—საკუთრების საკითხი. იქ იბრძვიან დიდი მრეწველობის ნიადაგზე, აქ იბრძვიან მიწათმოქმედების ნიადაგზე. ამიტომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მთავარი პოლიტიკური მოთხოვნილებაა თავისუფლება, აგრარიულში კი—თანასწორობა. ერთ ალაგას თანასწორობა თავისუფლების სათავეა, მეორე ალაგას კი პირიქით, თავისუფლებაა თანასწორობის სათავე. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ როგორც შვილმა ერის აგრარიული სტრუქტურის და ამომავალი ბურჟუაზიის შეაერთა ეს ორი მოთხოვნილება, მაგრამ შემდეგ ბურჟუაზიას სავსებით გაბატონებამ და ხალხის სავსებით დამორჩილებამ უპირატესობა მიანიჭა თავისუფლებას, ხოლო თანასწორობა და ძმობა დარჩა სიტყვებათ საზოგადო შენობებზე.

ევროპა აღზრდილია რომის სამოქალაქო უფლებაზე, საკუთრების ხელშეუხლებლობასა და შეურყევლობაზე. აღმოსავლეთში საკუთრება არ წარმოადგენს წმინდათა-წმინდას, მუდმივ მოვლენას. მიწის დაჩემება, გადანაწილება, ხელისუფლების მიერ მისი

---

*) ეს წერილი დაიბეჭდა «L' Avenir Social»-ის დეკემბრის ნომერში.

**) Les Anales de l' Economie collective № 247, 1930. Geneve.

*) l' Avenir Social. ოქტომბერი.

ნოე ჟორდანიას ავათმყოფობა

მარტის შუა რიცხვებიდან ნოე ჟორდანია მძიმე ავად შეიქნა: კისერზე გაუჩნდა რთული ფორმის ძირმაგარა, რომელმაც მრავალი ძირი გაიდგა და საშიში სახე მიიღო. საბედნიეროთ ენერგიულ ექიმობით და მოვლით მარტის დამლევს სიცხე დავარდა, მოხდა იარის ლოკალიზაცია, საშიშროება აცილებულ იქნა და ეხლახან ავადმყოფობა ნორმალური გზით მიმდინარეობს განკურნებისაკენ.

«ბრძოლის ხმის» რედქცია უცხადებს ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს და მებრძოლი საქართველოს ბელადს გულწრფელ თანაგრძნობას და მხურვალე სურვილს ჩქარი განკურნებისას.

მისალმებები ნ. ჟორდანიას.

საქართველოს სოც. დემოკ. პარტიის პარიზის ორგანიზაციამ, მოისმინა რა 29 მარტის სხდომაზე თავის თავმჯდომარის ცნობა ნ. ჟორდანიას ავადმყოფობის შესახებ, ერთხმად დაადგინა—მიუძღვნას პარტიის თავმჯდომარეს და და ბელადს თავისი მხურვალე სალამი და წრფელი სურვილი სწრაფი მორჩენის და პარტიის და ქვეყნისათვის ასე საჭირო მისი ჯანის და ფიზიკური ძალების სავსებით აღდგენის.

ვარშავიდან. საქართველოს პრეზიდენტს ნ. ჟორდანიას.

29 მარტს შემდგარი ჩვეულებრივი საზოგადო კრება კოლონიისა ერთსულოვნათ მოგესალმებათ როგორც მებრძოლ საქართველოს ღირსეულ ბელადს, გისურვებთ დღეგრძელობას და სამშობლოს წმინდა საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

კრების თავმჯდომარე ს. მდივანი.

◆◆◆

რხებენ. გლეხობის წინააღმდეგობა აქ იმდენათ დიდია, რომ ამის დამალვა ბოლშევიკებს არ ძალუძთ, მხოლოდ მოწინააღმდეგეთ მთელი სოფლის მაგიერ «კულაკებს» და მენშევიკებს სთვლიან. გლეხობის ბრძოლა ამ რეკონსტრუქციის წინააღმდეგ არის ახალი სახის ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან გლეხობამ კარგათ იცის, რომ მათ მიერ დამუშავებულ ტეხნიკურ კულტურებს ჩამოართმევენ ალალბედზე დანიშნულ ფასებში. წინააღმდეგნი არიან თითო ოროლა კოლექტივებიც—იმავე მიზეზით. ამ რეკონსტრუქციით მოსკოვის ველიკორუსული შოვინიზმი ლამობს საქართველოს დაპყრობის გამუდმივებას და მის გადაქცევას ნედლეულობის ბაზათ მრეწველობისათვის.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ზოგიერთ ადგილებში, მაგ. გურიაში, ჩაის გაშენების რაიონებში, კოლექტივის წევრები ინარჩუნებენ ნაკვეთ მიწებს ინდუვიდუალურად დასამუშავებლად, ანდა კოლექტივში შეტანილ მიწის ნაკვეთებს ინდივიდუალურად იმუშავებენ; მომავლისათვის განძრახული ნარდათ სამუშაოზე გადასვლა ხელს შეუწყობს ასეთ მიმდინარეობას კოლექტივებში. ყველა ეს მოწმობს რამდენათ პოპულიარულია გლეხისათვის კოლექტივი, რამდენათ შესაძლებელია დეკრეტებით სოციალიზმის დამყარება სოფელში, რამდენათ «მოაბრუნეს გლეხი სოციალიზმის გზისაკენ».

ფშავი.

◆

ჰერმან მიულერი

20 მარტს ბერლინში გარდაიცვალა გერმანიის რესპუბლიკის ყოფილი კანცლერი და გერმანიის სოცილადემოკრატიულ პარტიის ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი—ამხ. ჰერმან მიულერი. მიულერი დაიბადა ქალაქ მანჰეიმში 1976 წელს. მამა მისი იყო პატარა ყავახანის პატრონი. თვითონ ჰერმან მიულერმა პირველ ხანებში კომერციას მოკიდა ხელი, მაგრმმ მალე მას თავი გაანება. 17 წლის ის უკვე სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრი იყო. 1898 წელს ის ხდება სოციალისტური გაზეთის რედაქტორი გორლიცში. 1906 წლიდან დაწყებული ის მუდმივი წევრი იყო გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1914 წელს მიულერი მოდის პარიზში ფრანგ სოციალისტებთან სათათბიროთ და ომის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლათ. მაგრმა ამ დროს ხდება ჟორესის მკვლელობა და მიულერი თავის მისიას ვეღარ ასრულებს. 1919 წელს მიულერს ირჩევენ გერმანიის ნაციონალურ კრების წევრათ, ის მალე საგარეო საქმეთა მინისტრი ხდება, ინიშნება დელეგატათ ვერსალის კონფერენციაზე და ხელს აწერს ვერსალის ზავს. მიულერს დიდი ღვაწლი მიუძღვის კაპის «პუჩის» ჩაშლაში 1920 წელს და რესპუბლიკანურ რეჟიმის დაცვაში. ამ «პუჩის» შემდეგ ის ხდება გერმანიის კანცლერად და რჩება ამ პოსტზე ერთ წელზე მეტი. 1928 წლის ივნისში გერმანიის სოციალდემოკრატია დიდ გამარჯვებას აღწევს არჩევნებში და მიულერიც მეორეჯერ კისრულობს კანცლერობას. მისი სამინისტრო გრძელდებოდა 1930 წლის მარტამდე.

მიულერს მთავრობაში ყოფნა მეტად რთულ და მძიმე პირობებში უხდებოდა, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის მოსჩანდა მისი ნათელი და გამჭრიახი ჭკუა-გონება. ის იყო მეტად გაბედული პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც შეეძლო თავისთავზე უდიდესი პასუხისმგებლობა აეღო. ეს დაამტკიცა როცა ვერსალის ზავს ხელი მოაწერა.

თავის პარტიასთან ერთად, მიულერმა უდიდესი როლი ითამაშა გერმანიის რესპუბლიკის და დემოკრატიის დაცვის და განმტკიცების საქმეში. ამიტომაც გერმანელი ფაშისტ-კომუნისტები მისი ასეთი წინააღმდეგი იყვნენ და მას გააფრებით ებრძოდენ.

ჰერმან მიულერი თანაგრძნობით ეპყრობოდა ქართველებს და საქართველოს საკითხის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა.

მიულერის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშები გაგზავნეს: ნ. ჟორდანიამ ქართველი ერის სახელით და კ. გვარჯალაძემ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით.

◆

ჰერმან დიამანდი

(1860-1931)

26 თებერვალს გარდაიცვალა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ერთ-ერთი პიონერი და ხელმძღვანელი, ჰერმან დიამანდი. გასულ წელს იდღესასწაულა პოლონეთის პარტიამ დიამანდის 70 წლის იუბილე და მისი სოციალისტურ პარტიაში ყოფნის მე-50 წლისთავი. განსვენებული იყო პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი. ის ეკუთვნოდა ავსტრიის პოლონეთს და მან შექმნა სოციალისტური ორგანიზაციები გალიციაში. დაშინსკისან ერთად ის იყო ხელმძღვანელი ავსტრიის პოლონეთის სოციალისტურ მოძრაობის და გამანთავისუფლებელი ბრძოლის. 1907 წელს ის არჩეულ იქნა ავსტრიის პარლამენტში და მას შემდეგ განუწყვეტლივ ეწეოდა საპარლამენტო მოღვაწეობას. ომის დროს დაშინსკისან და პილსუდსკისან ერთად მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა გაერთიანებულ პოლონეთის შექმნისთვის. ახლად დაარსებულმა პოლონეთის რესპუბლიკამ მას საპატიო ადგილი არგუნა დროებით მთავრობაში. მისი ფართე და ღრმა ცოდნა ეკონომიურ საკითხების განსაკუთრებით ძვირფასი გამოდგა განახლებულ პოლონეთისთვის. ის იყო მთავარი ავტორი ეკონომიური ხელშეკრულებისა ერთი მხრით პოლონეთსა და მეორე მხრით ავსტრიასა და გერმანიას შორის. პოლონეთ-გერმანიის ხელშეკრულება ხომ საძირკველია ამ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობის დაწესების და მათი დაახლოვების. რაც მეორე ინტერნაციონალი დაარსდა, დიამანდი განუწყვეტლივ მონაწილეობას იღებდა მის კონგრესებზე და დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული საერთაშორისო სოციალისტურ წრეებში. თვით უკანასკნელ ეკზეკუტივის კრებაზე გასულ თებერვალში, ციურიხში, ის წარმოადგენდა პოლონეთის პარტიას და ენერგიული მონაწილეობა მიიღო ეკზეკუტივის მუშაობაში. ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა. ციურიხიდან ახალი დაბრუნებული ის მოულოდნელად გარდაიცვალა ლემბერგში (ლვოვი). არა მარტო პოლონეთის სოც. პარტიამ, არამედ მთელმა ინტერნაციონალმა დაჰკარგა დიამანდის სახით გამოჩენილი მოღვაწე.

◆

ლიკო (ელენე) ხუციშვილი

მიმდინარე წლის იანვრის 21 ს ტომსკში გადასახლებაში ჭლექით გარდაიცვალა ამხ. ლიკო ხუციშვილი. ის ამ ხანათ 28 წლისა იყო.

ამხ. ლიკო, ჯერ კიდევ სრულიათ ახალგაზდა, ხდება საქართველოს მარქსისტთა ორგანიზაციის წევრი და ის სულ მალე იპყრობს ამხანაგების ყურადღებას თავისი მომზადებით და არაჩვეულებრივი ენერგიით. ლიკო იმ თავითვე ახალგაზდათა ჩვენი ორგანიზაციის თბილისის მეოთხე რაიონში მუშაობს და აქ ის უახლოვდება ჩვენი ორგანიზაციის სიმტკიცეს და სიამაყეს, ამავე რაიონის ხელმძღვანელს, ამხ. ლადო გიორგობიანს (რომელიც ჯალათებმა 1925 წლის იანვარში დახვრიტეს გერმანე ღლონტთან და სხვა ამხანაგებთან ერთად), და მისი ახლობელი მეგობარი და თანამშრომელი ხდება. ამხ. ლიკო იმ თავითვე მეტათ გაბედული პიროვნება იყო და ხშირათ ძალიან სახიფათო დავალებებს ასრულებდა. მან 1922 წლის 1 მაისს სახაზინო თეატრში ქანდარიდან გადაყარა ჩვენი პარტიის პროკლამაციები, იქვე იქნა დატუსაღებული ჩეკას აგენტების მიერ და კარგა ხანს დაჰყო ციხეში. იმ ხანათ ის უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო დარგის სტუდენტათ ირიცხებოდა. ლიკოს მშობლებმა იცოდენ რა მისი მოუსვენარი ხასიათი და გატაცება არალეგალური მუშაობით, დიდი ხვეწნით და მუდარით მორიდების სახით ძლივს გაისტუმრეს გერმანიაში 1923 წლის დასაწყისში, სადაც ის სწავლობდა ქიმიურ დარგზე ორი წლის განმავლობაში. ლიკო სამშობლოში ბრუნდება 1925 წლის დასაწყისში და მას მისი მეგობარი და ამხანაგი ლადო დატუსაღებული და განსაცდელში მყოფი ხვდება. ჩეკას ჯალათების მიერ განაწამები ლადო ჩეკის სარდაფიდან მოწერილ [illegible] ბარათში ემუდარება ამხანაგებს შეუგზავნონ მას საწამლავი და მით ბოლო მოუღონ მის საშინელ ტანჯვას, რადგანაც მას გარეთ გამოსვლის იმედი დაკარგული ქონდა. აი ამ მდგომარეობაში მყოფ ლადოს ნახვას ახერხებს ამხ. ლიკო და ამხნევებს მას, თუმცა არავის არ სწამდა მისი დახსნის შესაძლებლობა. ამ მეტათ ტრაღიკული და მასთან სასურველი და უკანასკნელი შეხვედრის დროს ამხ. ლადო ავალებს ლიკოს მისი საყვარელი საქმის გაგრძელებას და მან ეს დავალება პირნათლათ შეასრულა და მასვე შესწირა თავისი მოუსვენარი სიცოცხლეც. მართლაც ლადოს დალუპვის დღიდან ლიკოს ვერ იცნობდი: მისთვის პირადი ცხოვრება არ არსებობს, მთელი თავისი არსებით და გაორკეცებული ენერგიით ებმება არალეგალურ მუშაობაში და მას ასრულებს განსაკუთრებულის ხერხით და არაჩვეულებრივი გატაცებით. ამ დღიდან ლიკო თავს დასტრიალებს ლადოს საყვარელ მეოთხე რაიონს და აქედან ის სულმალე ჯერ ჩვენი ორგანიზაციების თბილისის კომიტეტის და შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრი ხდება. არალეგალური მუშაობა და საშინელი განცდები, რომელიც შეხვდა ამხ. ლიკოს, მის ჯანმრთელობას საგრძნობლათ არყევენ და ამხანაგები მას ურჩევენ დასვენებას. მაგრამ ის ამაზე ჩვენი პარტიის თბილისის კომიტეტში შესვლით უპასუხებს და აქაც არაჩვეულებრივ სიმტკიცეს და მხნეობას იჩენს. პარტიულ მუშაობის გვერდით ამხ. ლიკო განსაკუთრებულის ყურადღებით მზრუნველობს არალეგალურათ მომუშავე ამხანაგებს და აწყობს დატუსაღებულთა და გადასახლებულთა დამხმარე ორგანიზაციებს.

ჯალათებმა კარგათ იცოდენ ძვირფასი ლიკოს ღირსება და ცხადია ისიც ვერ აცდებოდა მათ რისხვას. მას ატუსაღებენ 1927 წლის გაზაფხულზე და იმავე ზაფხულში ასახლებენ უვადოთ ხარკოვის გუბერნიაში, მარიუპოლში, სადაც მან ერთი წელი დაჰყო. აქედან კი გეპეუს განკარგულებით გადაგზავნეს ტომსკის გუბერნიაში—ტოგურში, სადაც ის სხვა ამხანაგებთან ერთად ამ უკანასკნელ დრომდე ცხოვრობდა. გადასახლებაში ლიკოს ჯანმრთელობა კიდევ უფრო ირყევა და ის საშინელ სენით ჭლექით სნეულდება... სამშობლოდან განდევნილი ის მაინც მუდამ საქმეზე და სამშობლოს ბედზე ოცნებობდა და იქედან ამხანაგებს ამხნევებდა და არიგებდა. მისი ფიქრი მუდამ ის იყო როგორმე დაბრუნებოდა თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ უკუღმართმა ბედმა მას რუსეთის ცივი სამარე არგუნა. როცა გეპეუს ჯალათები დარწმუნდნენ, რომ ლიკოს უკვე სასიცოცხლო პირი არ ქონდა, მხოლოდ მაშინ დართეს ნება ტომსკში საექიმოთ დაბრუნების და აქ კი ის სანთელივით დაიწვა და დადნა სუსხიან ცივ უცხო მხარეში მასავით განაწამები ჩვენი რამდენიმე ამხანაგის მზრუნველობის ქვეშ.

ამხანაგი ლიკო ჩვენს ამხანაგებში განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა თავისი დაუღალავი ენერგიის და მეტათ სპეტაკი და მგრძნობიარე ხასიათის წყალობით. იშვიათად შეხვდებით ასეთ თავდადებულ და გატაცებულ პიროვნებას, და ამით ის, ჩვენს სახელოვან ლადოსავით, დარჩება სამაგალითო და მისაბაძ ამხანაგათ.

ამხ. ლიკო დაეცა ეკლიან გზაზე თავისი მიზნების ერთგული და შეუპოვარი. მან პირნათლათ შეასრულა ჩვენი საყვარელი ლადოს ანდერძი, მისი სურვილი და ჩვენ ლადოს მეგობრებს და მის ამხანაგებს დაგვიტოვა საუკეთესო მაგალითი თავგანწირვის და სიმტკიცის. ლიკომ მოიხადა თავისი ვალი განაწამები სამშობლოს წინაშე და მივიდა მის სამსხვერპლოზე მტკიცეთ და შეურყევლათ. ჩვენი ძვირფასი ლიკო ქართველი ქალის დღევანდელი ტრაღედიის საუკეთესო განსახიერებაა. ის დაეცა თავის ღირსეულ პოსტზე მამაცურათ და ჩვენ მოგვიწოდა საქმის ერთგულებისაკენ. მისი ანდერძი შესრულებული იქნება.

შ. ბ.

თვითნებურათ გაცემა—შეუჩერებელი, საუკუნოების განმავლობაში წარმოებული პროცესია. როგორც კი აქ ეცემა მიწათმფლობელთა კლასი და სიმდიდრის მთავარი წყარო—მიწა გადადის ხალხის ხელში, საზოგადოება ხდება დაახლოვებით ერთნაირი, თანასწორი; დგება წვრილ მეურნეთა რესპუბლიკა მათი წვრილი საწარმოვო ფორმებით. აქა-იქ გაჩენილი კაპიტალისტური წარმოებანი, თავისი მცირე რიცხოვანი პროლეტარიატით ამ საერთო ეკონომიკაში ილესება და შეიცავს ხელქვეით მოვლენას. ხოლო მუშები უერთდებიან საეთო ტალღას—თანასწორობას, მიწის საკუთრებათ შეძენას და ორივე ფორმის ეკონომიკაზე დაყრდნობას. მშრომელი ზამთრობით ქირაზე მუშაობს, ზაფხულობით თავის მიწაზე.

საბჭოთა კავშირი ობიექტიურათ სწორეთ ასეთი ქვეყანაა. აქ გაბატონებული კლასები, ევროპიული მნიშვნელობით, არ არიან; თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია გამქრალია. კომუნისტები წარმოადგენენ არა ეკონომიურ კატეგორიას, არა კლასს, არამედ ხელისუფლებას, გაბატონებულს პოლიციური საშუალებით. ამ ხელისუფლების დაცემა თავის თავათ არ ნიშნავს მემამულეთა დაბრუნებას და ბურჟუაზიის გაბატონებას. ეს დამოკიდებულია არსებული მართველობის ლიკვიდაციაზე, რა გზით, რა საშუალებით ის მოხდება. სოციალისტური ინტერნაციონალი ამ ხელისუფლებას გადაჭრით უარსყოფს და მას უპირდაპირებს დემოკრატიას, ხალხის სუვერენობას. ამ საკითხში ის მარტო არ არის, მას ემხრობა ბურჟუაზიული პარტიებიც. გამოდის რომ ორივე ბანაკი ლაპარაკობს ერთ და იმავეს, მაგრამ არის კი ეს მართლა ერთი და იგივე? ეგზეკუტივის ზემოთ მოხსენებულ მანიფესტს თამამათ გაიზიარებს ბურჟუაზიული დემოკრატიაც, თუ მას მოვაცილებთ ოროოდე ფრაზას სოციალიზმის შესახებ. აქ რუსეთის განვითარება იგულისხმება ევროპიული გზით: პოლიტიკური თავისუფლება, კაპიტალისტური წყობილება, ბურჟუაზიული დემოკრატია, პროლეტარიატის ბრძოლა და ბოლოს სოციალიზმის გამარჯვება.

და აი აქ ისმება ძირითადი საკითხი: სავალდებულოა ეს ევროპიული ეტაპები განვითარებისა საბჭოთა ხალხებისათვის? რუსეთმა ახლა, ევროპის კაპიტალიზმის მიწურულში, უნდა დაიწყოს თავიდან, ამ კაპიტალიზმის აღორძინების პირველი საფეხურიდან და მთელი ეს კიბე თანდათან განვლოს, დღევანდელ საფეხურამდე? ეს საკითხი პირველათ დასვა მესამოცე წლებში რუსეთის გამოჩენილმა სოციალისტმა და რევოლიუციონერმა ჩერნიშევსკიმ და გადაჭრა ის უარყოფითათ. აი რას სწერს კარლ მარქსი ამ საგანზე:

ჩერნიშევსკი «თავის შესანიშნავ სტატიებში არკვევდა საკითხს იმაზე თუ რუსეთმა უნდა დაიწყოს სასოფლო ობშჩინის დარღვევით და გადავიდეს კაპიტალისტურ მეურნეობაზე, როგორც ამას ქადაგობენ ლიბერალი-ეკონომისტები, თუ პირიქით მას შეუძლია შეითვისოს ამ წყობილების ყველა ნაყოფი ისე რომ არ განიცადოს მასან შეერთებული ტანჯვანი და მით განვითარდეს თავისი ისტორიული პირობების თანახმათ. თვითონ ის აღიარებს უკანასკნელის შესაძლებლობას. მე კი მივედი შემდეგ დასკვნამდე: თუ რუსეთი განაგრძობს იმ გზას, რომელიც მან აირჩია 1861 წლიდან, ის დაკარგავს ერთ ჩინებულ შემთხვევათაგანს, რაიცა ოდესმე ისტორიულმა მსვლელობამ ხალხს არგუნა, რომ ის აშორდეს კაპიტალისტური წყობილების ყველა მომენტებს. თუ რუსეთი ცდილობს გახდეს კაპიტალისტური ქვეყანა მსგავსათ დასავლეთ ევროპისა (და მან ამ გზაზე ბოლო წლებში ბევრი იმუშავა), ის ამ მიზანს ვერ მიაღწევს თუ მან წინდაწინ თავის გლეხთა ნახევარი მაინც არ გადააქცია პროლეტარიატათ; ამის შემდეგ, რაკი ერთხელ თავი შეყო კაპიტალისტურ რეჟიმის უღელში, ის იძულებული ხდება დაემორჩილოს კაპიტალიზმის ულმობელ კანონებს სხვა ჩვეულებრივ ერებთან ერთათ» *).

როგორც ხედავთ, მარქსს შესაძლებლათ მიაჩნდა რომელიმე ერს მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო არ გაევლო კაპიტალისტური განვითარების ყველა საფეხურები; ხოლო რუსეთის ეკონომიკის დასავლეთი ეკონომიკის დასამსგავსებლათ აუცილებელია მისი აზრით გლეხების დიდი ნაწილის გაპროლეტარება.

ახლა მიუბრუნდეთ საბჭოთა ეკონომიკას და გავიგოთ მისი ნიშნობლივი თვისებები.

რუსეთმა უეჭველია დაიწყო ევროპიული ეკონომიკა ისე, როგორც კაპიტალისტურ ერებმა—ინდივიდუალური საქმიანობით, კერძო პირთა ვაჭრობით და წარმოებით. მაგრამ მისი კერძო ეკონომიკა იმდენათ სუსტი და უსუსური აღმოჩნდა, რომ რევოლიუციურ ტალღებმა ერთი დაკვრით მოსპო და მის ალაგას წარმოასკუპა სახელმწიფო ეკონომიკა. ამ ორ ნივთიერ წყობას შორის საერთოა სამი მომენტი: ორივე ითვისებს მუშის ზედმეტ ღირებულობას, ორივე ამზადებს საქონელს და ორივეს ეს საქონელი გამოაქვს ბაზარზე გასაყიდათ. მაშასადამე ორივე ერთნაირათ კაპიტალისტურ ჩარჩოში თავსდება. კერძო კაპიტალიზმის ალაგს იჭერს მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმი. მათ შორის არის ერთი დიდი განსხვავება და მით საბჭოთა ეკონომიკა ნსხვავდება დღევანდელი ბურჟუაზიული ეკონომიკისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს თვით საქონლის დამზადების პროცესში და მის გასაღებაში. კერძო კაპიტალიზმი ცხოვრობს და ვითარდება თანახმათ თავისი საკუთარი, წარმოებისაგან გამომდინარე ეკონომიური კანონებისა, კაპიტალის ჩვეულებრივი საწარმოვო მოქმედებით. საბჭოთა კაპიტალიზმი კი საჭიროებს განსაკუთრებით მფარველობას, პოლიციური ზომებით ყოველივე კონკურენციის თავიდან მოშორებას, კერძო ვაჭრობა-წარმოების სასტიკათ აკრძალვას, თავის ხალხში საქონლის ძვირათ გაყიდვას, მუშისათვის პოლიტიკური უფლების წართმევას, თავისუფალი ორგანიზაციების, გაფიცვის, კრების და სიტყვის აღკვეთას—ერთი სიტყვით სახელმწიფოს მთელი დამსჯელი აპარატის დახმარებას. საბჭოთა კაპიტალი ეს ხალხის ზურგიდან ძალმომრეობით აწაპნილი კაპიტალია.

მრეწველობის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება ნიშნავს მის უკან დაქანებას, პრიმიტიულ ეკონომიკაში ჩაჭერას. ეს არის უდიდესი ეკონომიური რეაქცია, რაიცა კი ოდესმე მომხდარა. ამ ჟამათ საბჭოთა კაპიტალიზმი დგას იმ საფუძველზე, რომელზედაც იდგა კერძო კაპიტალიზმი მის აღორძინების ხანაში, 17—18 საუკუნეში. ჩვენი ახალფეხადგმული კაპიტალიზმი მიმართავს უხეშ ძალას, ხალხთა აშკარა გაძარცვას და მუშის პოლიციური წესებით დამორჩილებას თავისთავის გასამაგრებლათ და გასაძლიერებლათ.

«ყველა ეს მეთოდი, სწერს მარქსი, ხშირათ სწარმოებდა უხეში ძალმომრეობით, როგორც მაგ. კოლონიალური სისტემაა. კაპიტალისტები სარგებლობდენ სახელმწიფო ხელისუფლებით, ამ საზოგადოების შეკავშირებული და შეერთებული ძალით, იმისთვის რომ დააჩქარონ ფეოდალური საწარმოვო წესის გადასხვაფერება კაპიტალისტურათ და შეამოკლონ გადასავალი საფეხურები» (კაპიტალი I).

საბჭოების ეკონომიკაში კოლონიების როლი ითამაშა გლეხობამ, რომლის აშკარა რბევა და ცარცვა ჯერაც არ შეჩერებულა.

საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობა, როგორც მეტათ პრიმიტიული და სუსტი, ვერ უძლებს არა მარტო კერძო მრეწველობის ქიშპობას, ის ვერ აიტანს მუშათა თავისუფალ მოძრაობასაც. რუსეთის პროლეტარიატის უუფლებობა ერთათ-ერთი პირობაა მისი უზომოთ გაყვლეფისა და მით საბჭოთა ეკონომიკის არსებობისა. აქაც ბოლშევიკებს ახალი არაფერი უთქვამთ. ამასვე სჩადიოდენ კაპიტალის დაგროვების ხანაში კაპიტალისტები. მარქსი სწერს:

«საქმეთა ჩვეულებრივ მსვლელობაში მუშა შეიძლება მიშვებულ იქნას «წარმოების ბუნებრივ კანონებზე», ე. ი. კაპიტალის იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც გამომდინარეობს თვით წარმოების პირობებისაგან, რითაც ის მტკიცდება და ხანგრძლივდება. მაგრამ ეს ასე არ იყო კაპიტალისტური წარმოების ისტორიულ დასაწყისში. ამომავალი ბურჟუაზია მაშინ სარგებლობდა სახელმწიფო ძალით მუშის ქირის «რეგულიარიზაციისათვის», ე. ი. იმისთვის რომ მუშა ჩასჭედოს და ჩაიჭიროს ისეთ საზღვრებში, რომელიც აუცილებელია ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად, სამუშაო დროის გასაგრძელებლათ და თვით მუშის საკმაო დამოკიდებულებაში დასაჭერად. ეს არსებითი მომენტია ეგრეთ წოდებული პირველდაწყებითი დაგროვებისა» (იქ.).

საბჭოთა მუშა «არ არის მიშვებული წარმოების ბუნებრივ კანონებზე», არ აქვს თანამედროვე მუშის უფლებები. ის სახელმწიფოს ყმაა. მისი ამ ყმობისაგან განთავისუფლებას და სრულუფლებიანათ აღიარებას საბჭოთა მრეწველობა ერთ დღესაც ვერ აიტანს.

როგორც ხედავთ, საბჭოთა მრეწველობა ჩადგა ევროპის მრეწველობის პირველ პერიოდში, კაპიტალის დაგროვება აქა და იქ ხდება ერთნაირი წესით და საშუალებით. მაგრამ ამავე დროს მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა. კაპიტალის დაგროვება ევროპაში ხდებოდა კერძო პირის მეთაურობით და სასარგებლოთ, საბჭოთა ქვეყანაში იგივე პროცესი ხდება სახელმწიფოს მეთაურობით და მის სასარგებლოთ.

ცხადია, ეს კაპიტალი არსებითად და ფორმალურათ შეადგენს ხალხის საკუთრებას; მაშინ როდესაც ნაციონალური სიმდიდრე დასავლეთში კაპიტალისტების ხელშია, იქ აღმოსავლეთში კი ის შეადგენს სახელმწიფოს კუთვნილებას. ამ ვეებერთელა ნივთიერ ძალას დღეს თვითნებურათ ეპატრონება და ხმა-

---

*) ეს მარქსის წერილი დაბეჭდილია 1886 წელს, «ვესტნიკ ნაროდნოი ვოლი» № 5.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა და პოლიტიკა

კარლ კაუტსკი ხუთწლიან გეგმის შესახებ.

კარლ კაუტსკის შესანიშნავი წიგნი, «ბოლშევიკები ჩიხში», ეხლა ფრანგულ ენაზედაც გამოვიდა. ამ გამოცემისათვის ავტორს განსაკუთრებული წინასიტყვაობა დაუწერია. წინასიტყვაობის დიდი ნაწილი ეხება ბოლშევიკების ხუთწლიან გეგმას და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მას.

ხუთწლიან გეგმას, ამბობს კაუტსკი, საფუძვლათ ის აზრი უძევს, რომ მოხმარების უკიდურესი შემცირებით შეიქმნას წარმოების ალმატება მოხმარებაზე და ამ გზით დაგროვილი საშუალება მოხმარდეს «აღმშენებლობას». ამას შედეგათ, ბოლშევიკების აზრით, ის მოყვება, რომ რუსეთი გადაიქცევა უაღრესათ განვითარებულ ინდუსტრიის ქვეყნათ, სადაც სიღატაკე და გაჭირვება ადგილს დაუთმობს კეთილდღეობას და ფუფუნებას და რუსის ხალხი ყველა სხვა ერებს გაუსწრებს.

არ არის საჭირო, სწერს კაუტსკი, დავკარგოთ დრო საბჭოთა სტატისტიკის შესასწავლათ. ეს სტატისტიკა ხომ ყოველთვის ოპტიმისტური და ამიტომ ასე ნაკლებ სანდო არის. ჩვენ უამისოდაც შეგვიძლია დავუშვათ, რომ ხუთწლიან გეგმის საშუალებით, მშიერ რუსის ხალხს ხელიდგან ეცლება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ზედმეტი ნაწარმოების საგრძნობი რაოდენობა. ეს ზედმეტი ნაწარმოები იყიდება საზღვარგარეთ და აქედგან ამოღებული ფული ხმარდება მანქანების შესყიდვას და ახალი შენობების აგებას. რასაკვირველია, ის, რასაც ხუთწლიანი გეგმა ვარაუდობს, მიღწეული არ არის. ეს შეუძლებელიც არის. მაგრამ მიუხედავათ ამისა, უნდა ვაღვიაროთ, რომ რაღაც მაინც არის გაკეთებული. ყოველ შემთხვევაში, აქედგან სრულიათ არ გამომდინარეობს, რომ ბოლშევიკებმა შესძლეს წარმოების გადიდება და თავიდგან აიცილეს ის დიდი კრიზისი, რომელიც დღეს მთელ საბჭოთა წარმოებას ემუქრებაო.

ხუთწლიანი გეგმის უმთავრესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, განაგრძობს კაუტსკი, რომ მის შემდგენლებმა სახეში არ მიიღეს ის გარემოება, რომ საწარმოო საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგანთა წარმოების შორის არსებობს დამოკიდებულობის აუცილებელი წესი. ხუთწლიან გეგმამ ამ მხრივ ყველაფერი ძირბუდიანათ შესცვალა და მძიმე ინდუსტრიის დარგშიდაც სამხედრო ხასიათის დაწესებულებებს ყველაზე მეტი უპირატესობა მისცა. წარმოებათა ახალ დარგების შექმნის დროს პირველ ყოვლისა ყურადღება ექცევა არა თვით წარმოების, არამედ მილიტარიზმის მოთხოვნილებას.

მაგრამ მოხმარების შემცირებას გავლენა აქვს თვით წარმოებაზედაც. მოხმარების დონეზე არის დამოკიდებული არა მხოლოდ საქონლის გასაღების დონე, არამედ თვით საწარმოო ძალათა განვითარების დონეც. ბოლშევიკებმა ვერ გაიგეს, რომ წარმოების უმთავრესი იარაღი ადამიანია, რომ უადამიანოთ ყოველივე მანქანა უბრალო რკინაა და ყოველივე ქარხანა კი—აგურისა და ცემენტის გროვაა. მათ გადასწყვიტეს, რომ წარმოების გასაჩაღებლათ საჭიროა ამა თუ იმ მანქანების შეძენა, მაგრამ ამავე დროს არ შეეკითხენ თავიანთ თავს, თუ სად უნდა იპოვონ ის ინჟინრები და კვალიფიციური მუშები, ურომლისოდაც საზოგადოთ მანქანებს არ შეუძლია მუშაობა. და რომც შეკითხებოდენ თავიანთ თავს ამის შესახებ, დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ მისცემდენ. ასეთი კადრების მომზადება უდემოკრატიოთ ხომ წარმოუდგენელი რამ არის. ამ მხრივ ბოლშევიკებს სავსებით შეთვისებული აქვთ ძველი რუსეთის თვითმპყრობელობის შეხედულება. როგორც წინეთ, ეხლაც ჰგონიათ რუსეთში, რომ შესძლებენ გაუთანასწორდენ ევროპას, რაკი მისგან ტეხნიკას გადმოიღებენ. მაგრამ მუდამ ავიწყდებათ, რომ ევროპის ეკონომიური განვითარება ემყარება არა მხოლოდ ტეხნიკაზე, არამედ იმ თავისუფლებებზეც, რომელიც მკვლევართა, ორგანიზატორთა, კარგათ გაწრთვნილ, ენერგიულ და შეგნებულ მუშათა კადრების აღზრდის საშუალებას იძლევა.

დაბოლოს კაუტსკი ფიქრობს, რომ ხუთწლიანი გეგმის გაკოტრებას პირველყოვლისა იგრძნობენ გლეხები, მუშები, ინჟინრები, პროფესორები, ექიმები და მეცნიერები. კომუნისტები ამ გაკოტრებას ალბათ ყველაზე გვიან იგრძნობენ. მე მათ ბრალს ვდებ არა მხოლოთ იმაში, რომ ისინი ბარბაროსულ მეთოდებს მიმართავენ, არამედ იმაშიაც, რომ თავიანთ მიზანს ვერ მიაღწევენ და მათი ხუთწლიანი გეგმა გაამაგრებს იმ საფუძველს, რომელზედაც ის აშენებულია: კიდევ უფრო გააძლიერებს რუსეთის ხალხის გაყვლეფა-გაჭირვებას და ჩამოქვეითებასო.

ბელგიის მუშათა პარტიის ახალი პროგრამა.

ბელგიის მუშათა პარტიას მისი დღევანდელი პროგრამა მიღებული აქვს 1885 წელს. მას შემდეგ ბელგიის მუშათა კლასს ცხოვრებამ დაუყენა ბევრი ახალი პრობლემა, რომელთ სათანადო პასუხის გაცემა საჭირია. ამ მიზნით პარტიის სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა ახალი პროგრამის პროექტი, სამი ნაწილისაგან შემდგარი.

პირველ ნაწილში ლაპარაკია პარტიის საერთო პრინციპებზე და მის სახელწოდებაზე. დღემდე პარტიას ეწოდებოდა ბელგიის მუშათა პარტია. განზრახულია ამიერიდგან პარტიის სახელწოდება იყოს: ბელგიის მუშათა სოციალისტური პარტია.

პროექტის მეორე ნაწილში განხილულია პროგრამა საერთოთ, ზოგად პრინციპების სახით: მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რესპუბლიკის დამყარება, შექმნა ევროპის შეერთებული შტატების, სოციალისტური და დემოკრატიული ფედერაციისა და ერთა ლიგის გარდაქმნა ხალხთა ფედერატიულ კავშირათ.

ერთი უმთავრესი მუხლი ეხება კოლექტიურ საკუთრების სოციალიზაციას. სარწმუნოება საზოგადო ცხოვრების ყოველ დარგში კერძო საქმეთაა აღიარებული და წამოყენებულია სწავლა-განათლების რეორგანიზაცია.

საგარეო პოლიტიკაში პროექტი საჭიროთ სცობს წარმოებულ იქნას ბრძოლა ნაციონალური და ინტერნაციონალური მასშტაბით მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მოხდეს ერთა ლიგის დემოკრატიზაცია, საერთაშორისო გზით მოგვარებულ იქნას ემიგრაციის და იმიგრაციის საკითხები და მიეცეს ექსპერტ მუშებს უფლება მონაწილეობა მიიღონ სავაჭრო ხელშეკრულობების შემუშავებაში. პროექტი აღიარებს ბანკებზე ინტერნაციონალური კონტროლის დაწესების საჭიროებას და გარდაუვალ ამოცანათ სთვლის საგარეო პოლიტიკა წარმოებულ იქნას ისეთი გეზით, რომელიც ხელს შეუწყობს საყოველთაო ზავის დამყარებას და განმტკიცებას.

პროგრამის პროექტის მესამე ნაწილი ეხება იმ საკითხებს, რომელთა გადაჭრა დღესვეა აუცილებელი. ასეთებია: სწავლა-განათლების საკითხი, ქალთა უფლებები, აგრარული, მუნიციპალური, კომუნალური, კოლონიალური საკითხები და სხ. პროექტში აგრეთვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი თავდაცვის და საერთაშორისო განიარაღების საკითხებს.

სოციალიზმის ზრდა ევროპის ქვეყნებში.

შვეციის მთავარ ქალაქში—სტოკჰოლმში გასულ მარტში მომხდარი მუნიციპალური არჩევნები სოციალდემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდა. სოციალდემოკრატებს დღეს ქალაქის თვითმართველობაში უმრავლესობა ყავს და მათი რიცხვი იქ 52 აღწევს. კონსერვატორებს ყავს 34 წარმომადგენელი, ლიბერალებს 5, კომუნისტებს და ფაშისტებს კი არც ერთი. ფაშისტებმა არჩევნებში მხოლოთ 280 ხმა მიიღეს. მოსკოვის მომხრე კომუნისტებმა დაკარგეს ის 3 ადგილიც კი, რომელიც მათ წინეთ ქონდათ.

—

დანიის სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ პარტიას ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში 22.287 წევრი მომატებია. 1930 წლის დამლევს 171.407 წევრი იხდიდა პარტიულ გადასახადს. თუ რა ძალას წარმოადგენს სოციალიზმი დანიაში, ეს იქიდან სჩანს, რომ დღეს იქ სოციალისტური მთავრობაა და გასულ საპარლამენტო არჩევნებში, 1929 წელს, სოციალისტებმა 593,191 ხმა მიიღეს, რაც მთელ ამრჩეველთა 41,8 პროც. შეადგენს.

—

ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი, სენატორი დუნდრი, აქვეყნებს პარტიის წლიურ ანგარიშებს, საიდანაც სჩანს, რომ გასული წლის განმავლობაში 466 ახალი პარტიული ორგანიზაცია დაარსებულა და პარტიას 22,533 ახალი წევრი მომატებია.

—

ამა წლის მარტის შუა რიცხვებში შვეიცარიის სოციალისტებმა ქალაქ ციურიხში მუნიციპალურ არჩევნებში ყველა სხვა პარტიებზე მეტი ხმა მიიღეს და ქალაქის თვითმართველობაში დღეს სოციალისტები უმრავლესობაში არიან. ამხ. კლიტმა, ციურიხის დღევანდელმა ქალაქის თავმა, 29,699 ხმა მიიღო; ბურჟუაზიულ კანდიდატებმა კი ზოგმა 20,000 და ზოგმა 21,183. კომუნისტების 9 კანდიდატმა ერთათ შეკრიბეს მხოლოთ 2,000 ხმა და არც ერთი მათგანი არჩეული არ იქნა.

—

მიუხედავათ დიდი ეკონომიური კრიზისისა, რომელიც დღეს მძვინვარებს მთელ გერმანიაში, ბერლინის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს ამ უკანასკნელ ხანებში მომატებია 20.000 ახალი წევრი. დღეს ბერლინის ორგანიზაციებში ითვლება 91.349 წევრი.

◆

მოსკოვის დამქაშები სოც. პარტიაში

ეს რამდენიმე წელია ჟენევა-ლოზანის სოციალისტურ პარციაში საოცარი ამბები სწარმოებს. რაც ჟენევის და ლოზანის ორგანიზაციების გამოცდილი, ძველ ტრადიციებზე აღზდილი ხელმძღვანელები გარდაიცვალენ—ჟენეველი ნიკოლე (1922) და ლოზანელი შარლ ნენი (1926 წ.), აქაურობას დაეპატრონა ომის შემდეგ გასოციალისტებული, სოციალიზმში ნაკლებათ გარკვეული და განათლებული, მაგრამ სამაგიეროთ მეტად უტიფარი და ნიჭიერი ადამიანი ნიკოლი, რომელსაც ზურგს უმაგრებს მეფის დროის ემიგრანტი, დღეს შვეიცარიის მოქალაქე რუსის ებრაელი დიკერი. პროფესიით ადვაკატი. ოდესღაც ს. რ., ხოლო ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ უეცრად გამარქსისტებული. ეს უპრინციპო კაცი ჰყავს ნიკოლის მრჩევლად და ამ ორი პირის სათარეშო გახდა ჟენევის სოციალისტური ორგანიზაცია 1922 წლის შემდეგ. აქ დიდი ინდუსტრიული პროლეტარიატი არ არსებობს. სოც. ორგანიზაციასაც არ აქვს მყარე საფუძველი. რომ ის სოციალიზმში შემთხვევით მოსულმა დემაგოგებმა ვერ აიყოლიონ, მით უმეტეს რომ ამ უკანასკნელთ ზურგს უმაგრებს მოსკოვი, რომელსაც ისინი ეყმენ და ჟენევა-ლოზანის ორგანიზაციებსაც მათი გაზეთებითურთ ამსახურებენ. განსაკუთრებით ილაშქრებენ ისინი ჩვენი საქმის და რუს მენშევიკების წინააღმდეგ. ქართულ პრესის ბიურომ ნიკოლ[illegible]-შიაც მისცა და ამით მათ გაშმა[illegible] რამდენიმეთ წელი მოსტეხა.

გასულ სექტემბერს მოსკოვში 48 კაცის გაუსამართლებლათ დახვრეტიდან მოკიდებული, ჟენევაში მყოფი რუსი ამხანაგები ცდილობდენ მოეწყოთ საპროტესტო მიტინგი. ამას წამოეწია რამზინის პროცესი, რამაც მიტინგი კიდევ უფრო აქტუალურად გახადა. რუს მენშევიკების ინიციატივას დიდი თანაგრძნობით შეხვდენ საფრანგეთის და იტალიის სოციალისტური პარტიების სექციები და მან თვით ჟენევის პარტიაშიც ჰპოვა გამოძახილი: მისი ორი ცნობილი წევრი დეპუტატი როსლე და ყოფილი ჟენევის მთავრობის წევრი ოლტრამარი მიტინგზე გამოსვლაზე დათანხმდენ. შვეიცარიის სოც. პარტიის ცეკამ მოიწონა განზრახული საქმე და დანიშნა ოფიციალურ ორატორათ თავისი გენერალური მდივანი, გრაბერი. ამნაირად მიტინგი 8 იანვარს უნდა მომხდარიყო...

მაგრამ აბა როგორ დაუჯდებოდათ ეს ჭკუაში მოსკოვის დამქაშებს! ნიკოლმა და დიკერმა ჟენევის პარტიის სახელით განაცხადეს— «ყოველივე ზომებს ვიხმართ მიტინგის წინააღმდეგ» და ასე სოციალისტების მიერ მოწყობილ საქმეს დაუპირდა ადგილობრივი სოციალისტები. მიტინგი ვერ შესდგა. ხსენებულმა სოციალისტურმა სექციებმა საპროტესტო რეზოლიუციები მიიღო ნიკოლ-დიკერის წინააღმდეგ. მენშევიკურმა ჯგუფმა კი საჩივარი აღძრა ცეკას წინაშე. ცეკამ გამოსთქვა მწუხარება მიტინგის ჩაშლის გამო და თავის დადგენილება მისი მოწყობის შესახებ დაადასტურა. მიტინგი კვლავ დაინიშნა 12 მარტისთვის. ორატორათ პარტიამ თავისი თავჯდომარე ამხ. რეინჰარდტი გამოგზავნა. ინტერნაციონალის სახელით ამხ. დებრუკერი გამოვიდა მენშევიკების მხრით ილაპარაკა პროფ. ჰერშმა, გამოვიდა აგრეთვე გამოჩენილი ანარხისტი ბერტონი. ჟენევის სოც. ორგანიზაციის ე. ი. ნიკოლის ორგანომ «ტრავაიმ» ერთი სიტყვაც არ დასძრა მიტინგზე. პირიქით, იმავ დღისათვის გამოაცხადა სამი რეფერატი «რუსეთის რევოლიუციაზე», მოსკოვის დამქაშების მიერ გამართული.

სოციალისტურ მიტინგს თავმჯდომარეობდა დეპუტატი როსლე. ოთხივე ორატორმა სასტიკათ დაგმეს ყოველგვარი დიქტატურა და განსაკუთრებით ბოლშევიკური. მოსკოვის უკანასკნელი პროცესი იყო უმთავრესი საგანი კიცხვისა. საყურადღებოა რომ სოციალისტების ქურქში გახვეული ბოლშევიკების აგენტები ოფიციალურ კომუნისტებთან ერთად ხშირად აწყვეტინებდენ ორატორებს სიტყვას. განზრახული იყო საპროტესტო რეზოლიუციის გამოტანა. მოსკოვის მოსამსახურეებს ამის დაშვება არ უნდოდათ: გამოვიდა ჯერ კომუნისტური პარტიის ოფიციალური ორატორი, რომელმაც სოციალისტურ პარტიებს და ინტერნაციონალს ლანძღვა-გინება გოდრით მიუძღვნა. უმთავრესად ამხ. რეინჰარდტს და დებრუკერს მოხვდა. კომუნისტს მხარი დაუჭირეს «ჟენევის სოციალისტური პარტიის სახელით» ერლემ და იზავმა, რომელთაც «ღრმა მწუხარება» გამოსთქვეს შვეიცარიის სოც. პარტიის ცეკას და ინტერნაციონალის ცუდი საქციელის გამო და ბოლშევიკური ჟარგონით შეზავებული პროტესტიც განუცხადეს მათ. ამ «მძიმე არტილერიას» ქვეითი ჯარიც მოყვა, გამზადებული პროტესტანტები ღრიალით უჭერდენ მხარს მოსკოვის ორატორებს.

საინტერესოა როგორ გამოეხმაურებიან ამ გაუგონარ ამბავს შვეიცარიის პარტია და ინტერნაციონალი. არა გვგონია რომ მათ არ დასდონ შესაფერი მსჯავრი სოციალისტურ პარტიაში მოკალათებულ მოსკოვის დამქაშებს.

ნ.

◆

რობს არა ხალხი, არამედ ერთი მისი მცირედი ნაწილი, კომუნისტური პარტია. აქედან იბადება პრობლემა: ბოლშევიზმის ლიკვიდაცია ისე რომ სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდეს ხალხის ხელში და მით დაგროვილი კაპიტალი ფაქტიურად დაუბრუნდეს მის ნამდვილ პატრონს. შესაძლებელია ეს?

საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია შეიძლება ორი გზით, ორი მიმართულებით.

ერთი გზაა გაგრძელება არსებული პოლიტიკური გეზის, მხოლოდ ანტიკომუნისტური შინაარსით. აქ დღევანდელი «ცენზიანი კონსტიტუცია» კომუნისტების სასარგებლოთ იცვლება მეორენაირი ცენზიანი კონსტიტუციით შეძლებულთა სასარგებლოთ, ეს იქნება ბურჟუაზიული ხელისუფლების დაწესება. მაგრამ ვინაიდგან დღეს, ხალხის გამოღვიძების ხანაში, ასეთი ხელისუფლება ვერ დამაგრდება მისი შინაგანი წონასწორობით, ტერორი და ძალმომრეობა მისი ფარ-ხმალი გახდება. კომუნისტური ძალადობა შეიცვლება ბურჟუაზიული ძალადობით. იქნება ის ბონოპარტისტული, ფაშისტური, მონარქისტული თუ სხვა რომელიმე ფორმის. ამის სოციალური შედეგია ნაციონალური სიმდიდრის დატაცება კერძო პირების მიერ, პროლეტარიატის უუფლებობის გაგრძელება, ბურჟუაზიის ხელოვნურათ შექმნა. რუსეთი უბრუნდება ევროპის ძველ გზას, ყველა მისი გავლილი უარყოფითი თვისებებით.

მეორე გზაა—ყველა უფლება-უპირატესობათა გაუქმება და ხალხის სუვერენათ აღიარება. ეს დემოკრატიული ლიკვიდაცია არსებული რეჟიმის პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება როგორც ბოლშევიკურ ხელისუფლებას, ისე მის ბურჟუაზიულათ გადატეხას. დემოკრატიას გამარჯვება შეუძლია მხოლოდ რევოლიუციური გამოსვლით, ხალხის ფართე მასების ამოძრავებით, მაშინ როდესაც ბურჟუაზიის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მასების აუმოძრავებლათ, ხალხის ასპარეზზე გამოუყვანელად, სამხედრო, სასახლის თუ სხვა რაიმე ჯგუფური შეთქმულობით და გადატრიალებით. დემოკრატიის გამარჯვება გულისხმობს რევოლიუციას, ბურჟუაზიის გამარჯვება—გადატრიალებას.

მეტყვიან: განა დემოკრატიული ხელისუფლება არ ნიშნავს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, როგორც ეს ევროპაშია? არა, არ ნიშნავს და აი რატომ.

საბჭოთა კავშირში შეძლებული კლასები არ არსებობენ. დემოკრატიული გადატეხის მეორე დღესვე ძალაუფლება ხელში ჩაუვარდება მუშას, გლეხს და წვრილი შეძლების ხალხს. დგება არა ბურჟუაზიული, არამედ ხალხური სახელმწიფო. თუ კი თებერვლის რევოლიუციამ მართველობა სოციალისტებს არგუნა, ხოლო ბურჟუაზია და მისი ამყოლ-დამყოლნი ოპოზიციაში გადაისროლა, მით უფრო ეს მოვლენა განმეორდება მომავალ რევოლიუციაში, რომელიც მხოლოდ ხალხის მეთაურობით მოხდება. რუსეთის ბურჟუაზიას არ მიუძღვის ის დამსახურება ერის წინაშე, როგორიც მიუძღვის ევროპისას. თუ დასავლეთში ხალხი ბურჟუაზიას მისდევდა და მის მეთაურობას სცნობდა, ეს აიხსნება ამ კლასის დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლით. მან დასცა ფეოდალიზმი, მან დაამხო აბსოლიუტიზმი, მან ჩამოკრა დემოკრატიის პირველი ზარი. ის იბრძოდა მეცამეტე საუკუნიდან და არ მოისვენა მიზნის მიღწევამდე. ამ მუშაობით მოპოებული გავლენა დღესაც ვერ ამოწურულა.

არავითარი ამის მსგავსი ჩამორჩენილ ერთა ბურჟუაზიას არ მიუძღვის. რუსეთს ფეოდალიზმი ააშორა მონგოლებმა, ხოლო აბსოლიუტიზმი დასცა პროლეტარიატმა გლეხობის დახმარებით. ბურჟუაზია სჩანს მხოლოდ მინისტრების დერეფნებში, მეფის სუბსიდიების მაძიებელი და მისი მოწყალების შემყურე. მართალია ლიბერალები ებმიან აბსოლიუტიზმთან ბრძოლაში, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი ძალა, არამედ როგორც სოციალისტების დამხმარე და მათი ამყოლი.

მაშასადამე პოლიტიკური დემოკრატიის ასპარეზზე გამოსვლა სოციალისტების და არა ლიბერალების მეთაურობით სრულიად აუცილებელი, ლოღიკური დასკვნა იყო წინანდელი ისტორიის. დამფუძნებელ კრებებში რუსეთის. უკრაინის და საქართველოს, დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა სოციალისტებს. აი ამ ბუნებრივ პროცესს საზოგადოების განვითარებისას შეებრძოლა ბალშევიკები და მისი გადატეხით შექმნეს შესაძლებლობა ამ პროცესის ბურჟუაზიულათ გათავების.

ამ რიგათ, საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია დემოკრატიულად ნიშნავს მუშის და გლეხის ხელისუფლების დაწესებას სოციალისტების და მათი მოკავშირე ელემენტების მეთაურობით. ამ მეთაურობის გახანგრძლივება დამოკიდებულია ხალხის ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ამ ხაზზე ორი დღევანდელი სიდუხჭირეა ძირბუდიანათ ამოსავლები—ეკონომიური: გლეხთა ცარცვის შეჩერება სახელმწიფოს მიერ, მისთვის დაბრუნება წართმეული მიწის და უზრუნველყოფა მისი ნამუშიერის და საკუთრების, პოლიტიკური: პროლეტარიატის უუფლებობის მოსპობა და ნამდვილი სახალხო დემოკრატიული წყობილების დაარსება. ამ პირობებში საბჭოთა დღევანდელი უდღეური წარმოება ჩადგება ევროპიულ კალაპოტში: საღი, კონკურენციის ამტანი დარგი დარჩება სახელმწიფოს ხელში. პარაზიტული დარგი მოისპობა ან და კერძო პირთ გადაეცემა ამხანაგური წესით საექსპლუატაციოთ. კერძო ინიციატივა აიშვება და ქვეყანა შედგება ნორმალურ ეკონომიურ განვითარების გზაზე.

აი ამ ბურჟუაზიული ეკონომიკის ფარგალში სოციალისტური ხელისუფლება მეთაურობს და ეხმარება სოციალური ეკონომიკის ყველა ფორმას: სახელმწიფოს, თვითმართველობებს, კოოპერატივებს, ამხანაგობებს—მთელ ბადეს კოლექტიური მეურნეობის. ყველა ჩაყენებულია თანასწორ იურიდიულ კალაპოტში კერძო პირებთან ერთათ. კერძო პირთა ინდივიდუალური ეკონომიკა და სოციალისტების სოციალური ეკონომიკა პოლიტიკური დემოკრატიის ფარგლებში—აი გზა აგრარული ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინების და სწრაფი განვითარების. საზოგადოებაში დგება ორი დასაყრდნობი ეკონომიური ცენტრი: კერძო და საზოგადო საკუთრებაზე აგებული. ამ შემთხვევაში აღორძინებულ ბურჟუაზიას არ რჩება საზოგადოებაზე ნივთიერი გავლენის მონოპოლია, როგორც ეს დღეს დასავლეთშია, მის გვერდზე მუშაობს თვით საზოგადოება სხვადასხვა საწარმოვო ფორმით და თავს იფარავს შეძლებულთა გავლენისაგან. მართალია ორივეს ეკონომიკაც კაპიტალისტურია, ისე როგორც კაპიტალისტურია საბჭოთა ეკონომიკა, მაგრამ კაპიტალიზმის სტიქიური განვითარება მსგავსათ დასავლეთ ევროპისა აქ გამორიცხულია, მის აღორძინებას და ზრდას ხელმძღვანელობს საზოგადოება, სახელმწიფო და საზოგადო ძალა. ამით თავიდან ავიცილებთ სტიქიურ და ბოლშევიკურ კაპიტალიზმის ტანჯვებს, ხალხის გამანადგურებელ მის შედეგებს და მას დავაყენებთ ხალხის ინტერესების სამსახურში, სანამ მისი სავსებით გაუქმების ჟამი არ დამდგარა. კაპიტალისტური ეკონომია სრულიად არ ნიშნავს უეჭველად ბურჟუაზიის ხელისუფლებას. გერმანიაში ბურჟუაზიამ ვერ მიაღწია პოლიტიკურ ბატონობას ვერც იმპერატორების ხანაში, როცა ძალა-უფლება იუნკრებს ეკუთვნოდა, ვერც დღეს, როცა მას პროლეტარიატი ეცილება. საზოგადოთ, დასავლეთიდან რაც უფრო მივდივართ აღმოსავლეთისაკენ ლიბერალიზმი კარგავს გავლენას, ბურჟუაზია პოლიტიკურად კნინდება და ბოლოს რუსეთის ხალხთა შორის სავსებით ქრება. საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიის განვითარება არ განიმეორა ცენტრალურმა სახელმწიფოებმა (გერმანია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და სხ.), არ განიმეორა რუსეთმა თებერვალში, არ განიმეორებს მომავალშიაც. ახალ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა არ შეიცავს აუცილებელ ეტაპს. აქ ბურჟუაზია უნდა დაკმაყოფილდეს ეკონომიური საქმიანობით.

ამ ნაირათ, საბჭოთა ქვეყნებში არც ეკონომიურათ, არც პოლიტიკურათ ევროპის ყველა გავლილი ეტაპები სავალდებულო არ არიან. ჩვენ არ ვიწყებთ ინდივიდუალური კაპიტალიზმით, არ იქმნება ბურჟუაზიის ბატონობა, არ ვქმნით ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, არ ვანებებთ შრომაზე კაპიტალის უსაზღვრო ბატონობას; ჩვენი მიზანია სოციალური ეკონომია, დაგროვილი კაპიტალის ხალხის ხელში შენახვა და მისი ექსპლუატაცია ხალხის სასარგებლოთ, ფართეთ წარმოება სახელმწიფო, მუნიციპალური და კოოპერატიული სოციალიზმის, დაარსება სახალხო სახელმწიფოს, შრომის განსაკუთრებითი მფარველობა, კერძო პირთა ეკონომიური საქმიანობის უზრუნველყოფა, მაგრამ მისი საზოგადოების სასარგებლოთ გამოყენება (გადასახადები და სხ.)—ერთი სიტყვით ფართე ეკონომიური და სოციალისტური რეფორმები და მით სოციალიზმისაკენ შარა გზის გაკაფვა.

აი ეს სოციალური მიზანი მისახვედრია საბჭოთა პროლეტარიატისათვის და თუ სოც. ინტერნაციონალი მისი თავისუფლების მიზნათ ამ პროგრამას აღიარებს და აქედან რევოლიუციურ დასკვნებს გააკეთებს—მაშინ ის მიწვდება მის სულს და გულს, გადაებმება მის ფსიხოლოგიას, გაიგებს მის ჭირ-ვარამს და გახდება მისი სულიერი მეთაური.

მოკლეთ, სახალხო რესპუბლიკა. სახალხო ეკონომია—აი ჩვენი მოთხოვნილება საბჭოთა ხალხებისათვის, აი რა დროშა მოსპობს პროლეტარიატის იზოლიაციას გლეხობისაგან, ხელჩაკიდებულთ შეაყენებს მათ საერთო გზაზე და განამტკიცებს მათ კავშირს ბოლომდე, სოციალიზმამდე.

ნ. ჟ.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.